

FACIO UT FACIAS!
გაკეთებ, რომ უნც გააკეთო!



კონფლიქტის

AN ALTERNATIVE TO CONFLICT

№ 3-4

იანვარი - თებერვალი

1999 წელი



ICCN

კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების
საერთაშორისო კვლევითი ცენტრი

კონფლიქტების მოგვარების სწავლების პრোগრამა საქართველოში

ყუარულით გამომცემა

კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი (ICCN) - არასამთავრობო კვლევითი და საგანმანათლებლო ორგანიზაცია - რეგისტრირებულია 1994 წელს საქართველოში. ცენტრი დაარსდა ჯონ და ქეთრინ მაკარტურების ფონდის მიერ გაცემული გრანტით. ცენტრის კვლევის ობიექტია კონფლიქტების მიზეზების, მათი აღრეული გამოვლენის, კონსტრუქციული მართვისა და მშვიდობიანი გზით გადაწყვეტის შესაძლებლობათა შესწავლა. საქართველოში კონფლიქტების მოგვარების სწავლების პროგრამა ICCN-ის პროგრამაა.

ცენტრის დირექტორი: პროფესორი გიორგი ხუციშვილი.

1996-1997 წლებში საქართველოში კონფლიქტების მოგვარების სწავლების პროგრამის ფარგლებში ქვეყნებოდა ყოველთვიური ბიულეტენი “ალტერნატივა”, ხოლო ბიულეტენში გამოქვეყნებული რჩეული მასალები და სოციალურ-ფსიქოლოგიური გამოკვლევა ინგლისურ ენაზე ცალკე კრებულად გამოიცა, სახელწოდებით **"Understanding Conflict"** 1998 წლიდან ბიულეტენის გამოცემა განახლდა ახალი სახელწოდებით “კონფლიქტის ალტერნატივა”. ახალი ბიულეტენი განაგრძობს რა ტრადიციას მიაწოდოს მკითხველს ალტერნატიული აზრი, ასევე შეეცდება წარმოაჩინოს საზოგადოების დადებითი თუ უარყოფითი რეაქცია ნებისმიერი ალტერნატივის მიმართ.

გამოცემა ფინანსდება ნორვეგიის ლგოლველთა საბჭოს გრანტით

რედაქტორი: ღეა ლაღუა

მისამართი:

ივ. მაჩაბლის 5, 1 სართული
თბილისი 380007, საქართველო

საფოსტო მისამართი:

საფოსტო ყუთი 38
თბილისი 380079, საქართველო

ტელეფონები: 99-99-87, 93-91-78

ფაქსი: 93-91-78

E-mail: confpro@access.sanet.ge

Homepage:

<http://iccn.tripod.com>

©1999 by ICCN. All rights reserved

შ ი ნ ა ა რ ს ი :	
„ქვეყანა შეჭამა შურმა, უღმერთოდ იცინის ღმერთი ...“	გვ. 3
ბეწვის ხიდზე	გვ. 6
ქალი და კონფლიქტი	გვ. 9
არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ საქართველოს მოქალაქეებს, პრეზიდენტს, პარლამენტს	გვ. 16
არამკლადობრივი ბრძოლის ისტორიული ფაქტები	გვ. 17
ტესტი - კონფლიქტური პიროვნება ნართ თუ არა?	გვ. 19
ქალი და ეთნოკონფლიქტი	გვ. 20
კონფლიქტების მოგვარების საშუალებები	გვ. 22
ქრონიკა	გვ. 23
პროგრამის ქრონიკა	გვ. 24
საქართველოში მასობრივი ცნობიერების სუთი აქსიომა	გვ. 26

„ქვეყანა შეჭამა შური, უღმერთოდ იცინის ღმერთი...“

თინა ასათიანი

ერთი მხრივ - კეთილშობილება, სიამაყე, კეთილგანწყობა, პატიოსნება, ხოლო მეორეს მხრივ - გაუტანლობა, გულგრილობა, სიმდაბლე, შური და ა.შ. - ადამიანისა და საზოგადოების ზნეობრივი ცხოვრების ეს პოზიტიური და ნეგატიური კომპონენტები ყოველი კონკრეტული ადამიანის, საზოგადოების, შესაძლოა, მთელი ერის ხასიათისა და იქნებ ბედის განმსაზღვრელიცაა. სოციალური კატაკლიზმები, გაჭირვება და მძიმე ცხოვრება, ხშირად ჩვენში უარყოფითი მახასიათებლების წარმოჩენას ასტიმულირებს. განცვიფრებული ვაკვირდებით დიდი ხნის ნაცნობს, რომელსაც ჩვენს თვალწინ შეეცვალა ხასიათი, ქცევა და გულდაწყვეტილი აღვნიშნავთ, რომ მასში ეს ცვლილებები ცხოვრების გართულებულმა პირობებმა გამოიწვია.

ხშირად, თავსმობევეული პოლიტიკური დოქტრინები და რეჟიმები გარკვეული ფასეულობების, ნორმების დათრგუნვას და სხვათა წახალისებას ემყარება. ქვეყნისათვის და საზოგადოებისათვის რთულ პერიოდში, ალბათ თვითოეულ ჩვენგანს ერთხელ მაინც უფიქრია: “რა ემართება ქვეყანას, ხალხს? ნუთუ ასე იმძლავრა ადამიანებში უზნეობამ და ბოროტებამ? თუ ეს ის სიბინძურეა, რომელიც არეულობასა და გარდამავალ პერიოდში ზედაპირზე წამოტივტივდება ხოლმე?”

შური, ადამიანისა და ხშირად საზოგადოებისაც ისეთი მახასიათებელია, რომელიც სხვადასხვა დროს, არაერთხელ გამხდარა მოაზროვნეთა ინტერესის საგანი. სულხან-საბას განმარტებით - “შური არს მწუხარება სხვისა კეთილსა ზედა”. ხოლო დალის ენციკლოპედიაში კვითხულობთ - შური, ეს ის თავისებურებაა, “როდესაც სხვას სიკეთეს არ ვუსურვებთ, არამედ მხოლოდ საკუთარ თავს.” შურის დახასიათებისას მის დესტრუქტიულ ხასიათზე მივვითითებ ბეკონი და აღნიშნავს - “მას, ვინც ვერ შეგვედრება ღირსებებში, ცდილობს გაგვისწორდეს ჩვენი კეთილდღეობის დაზარალებით”. შურის დამანგრეველ, აგრესიულ თავისებურებაზე მიგ-

ვითითებს დეკარტე: “არ არსებობს ნაკლოვანება, რომელიც ისე აზარალებდეს ადამიანს, როგორც შური, რადგან ამ სნეულებით დაავადებული ვნებს არა მხოლოდ საკუთარ თავს, არამედ, შეძლებისდაგვარად უსიხარულოს ხდის სხვის ცხოვრებასაც”. თუკი სპინოზასთვის შური სიძულვილის ტოლფასია, ლაროშეფუკოსათვის იგი სიძულვილზე უფრო შეურიგებელი რამაა. კანტის აზრით: “შური შავია, როდესაც ქცევაში გამოვლინდება, სხვა შემთხვევაში მას შეიძლება არაკეთილგანწყობილება ვუწოდოთ.”

რუსი ფსიქოლოგი მუზლიბაევის აზრით შურის ცნება აუცილებლად შეიცავს: “სუბიექტის მიერ ვიღაცის უპირატესობის აღქმას” - ადამიანი აცნობიერებს სხვის უპირატესობას; ამასთან დაკავშირებით უჩნდება გარკვეული ემოციები - “ღიზიანდება, წუხს, შესაძლოა დამცირებულადაც იგრძნოს თავი,” ჩნდება უარყოფითი დამოკიდებულება, “შესაძლოა სიძულვილიც იმ ობიექტის მიმართ, ვისაც მასთან შედარებით გარკვეული უპირატესობა აქვს”; მოქმედების სურვილი - შურის საგნისათვის “ზიანის მიყენების”, იქნებ მისი მოსპობის, მიმართულებითაც.

რა უდევს ამ გრძნობას საფუძვლად?

ფსიქოლოგები აღნიშნავენ, რომ შურს საფუძვლად უდევს სოციალური შედარება, რომელიც ადამიანის მიერ საკუთარი „მე“-ს აღქმას და თვითპატივისცემას განაპირობებს. “მე” მაინტერესებს თუ რას წარმოვადგენ სინამდვილეში და იმისათვის, რომ “ჭეშმარიტებას ჩავწვდე”, მივმართავ შედარებას ჩემს გვერდზე მდგომთან.

პრობლემები, ადამიანის მიერ საკუთარი თავის აღქმის, შეფასებისა თუ პატივისცემის მიმართულებით მასში ისეთ თავისებურებას განავითარებს, როგორცაა შური. საგულისხმოა, რომ თვითპატივისცემის დაბალი დონე გულისხმობს საკუთარი თავის, როგორც ნაკლებად ღირსეულის, ან უღირსის აღქმას. მაშინ, როდესაც საკუთარი თავის პატივისცემის მაღალი დონე გულისხმობს

შინაგან კომფორტსა და ღირსების განცდას. სოციალური შედარება ითვალისწინებს სხვა ადამიანის არსებობას, რომელიც მოშურნის მიერ აღიქმება, როგორც გარკვეული უპირატესობის მქონე. ამასთანავე, მოშურნე ადამიანი სხვის წარმატებას განიხილავს, როგორც საკუთარ დამარცხებას.

შედარების შესაძლებლობა გარკვეულწილად შეზღუდულია სოციალური ჩარჩოებით. შესაბამისად, მოშურნე ადამიანი თავის მდგომარეობას, როგორც წესი, სოციალურ კიბეზე მასთან ახლოს მყოფი ადამიანის მდგომარეობას ადარებს. ნათქვამია: “მექოთნეს მექოთნისა შურს, მეფეს - მეფისა”. ჯერ კიდევ არისტოტელე აღნიშნავდა, რომ “ადამიანებს იმათი შურთ, ვინც ახლოსაა მათთან დროში, სივრცეში, ასაკით, დიდებით.” ამრიგად, მსგავსება და სიახლოვე, ასევე განმსაზღვრელია შურის განცდისა. ახლოდან ხომ უფრო მისაწვდომია და თანაც უკეთ ჩანს თვითოეული დეტალი. ცნობილია, რომ სწორედ უშუალო გარემოცვა ხდება, უფრო ხშირად, შედარების ობიექტი, რომლის მიხედვითაც ვაფასებთ ჩვენს წარმატებებსა თუ წარუმატებლობას, შენაძენსა თუ დანაკარგს.

საინტერესოა, რომ დიდი განსხვავებები შურის განცდას იშვიათად იწვევს. შურიან ადამიანებს, ძირითადად, მცირე განსხვავებები ღრღნით.

ვასხენეთ რა “შურიანი ადამიანი”, ემპირიული გამოკვლევების სიმცირის მიუხედავად, შეიძლება ითქვას, რომ შურის აღმოცენებას შესაძლოა პიროვნების ხასიათის გარკვეული თავისებურებებიც ედოს საფუძველად. შური, ხშირ შემთხვევაში პატივმოყვარე, ეგოისტი ადამიანებისათვის დამახასიათებელი თვისებაა.

როგორი შური არსებობს? “შავი” და “თეთრი”, ბოროტი და უბოროტო. ე.წ. “თეთრი” - გულისხმობს ლტოლვას იმისაკენ, რაც აქვს შურის ობიექტს და არ გააჩნია მოშურნეს. ადამიანი ამბობს: “შეგნატრი, როგორ მინდა მეც შენნაირი მანქანა მქონდეს”. “შავი” შურის დროს ადამიანი იღწვის იმისათვის, რომ იმ სხვას არ ჰქონდეს ის, რაც აქვს. შესაბამისად, მისი ტექსტი ასეთია: “მე არ მსურს, რომ ეს მანქანა შენ გქონდეს”. ნათქვამი არაბუნებრივად ჟღერს, განსაკუთრებით, რაღაც მოფიქრებული ახსნა-განმარტების გარეშე, მაგ: “არ გინდება, და იმიტომ”, “რაში გჭირდება”,

ან “დიდი ხანია რაც მოდიდან გამოვიდა”, ან სხვ. ჩვენ, ხომ საკუთარი თავის შელამაზების ტენდენცია გვახასიათებს.

ფოლკლორსა და მხატვრულ ლიტერატურაში შური საკმაოდ უარყოფითადაა შეფასებული. ის დამანგრეველ, კონფლიქტებისა და უთანხმოების წარმოშობ ძალად არის მიჩნეული. და მართლაც, შურის გამოისობით არა ერთი კონფლიქტი შექმნილა და არა მხოლოდ მხატვრულ ლიტერატურაში. შურისა და არაკეთილგანწყობის საფუძველზე ადამიანები არა მხოლოდ სცენაზე ან რომანში ანადგურებენ ერთმანეთს, არამედ, საზოგადოებრივპოლიტიკური ცხოვრების სხვადასხვა პერიოდებში და სფეროებში.

შურს, გარდა კონფლიქტურისა, შემაფერხებელი ფუნქციაც აქვს, როგორც პიროვნულ, ისე სოციალურ დონეზე. ერთის მხრივ, ადამიანები ცდილობენ თავი აარიდონ მათზე მიმართულ შურს და... არ ახდენენ ნაყოფიერი იდეების განხორციელებას, მაღავენ მიღწევებს, და ა.შ. მეორეს მხრივ, მოშურნე ადამიანი ხდება ჩაკეტილი, შფოთიანი, მას არასრულფასოვნებისა და უკმაყოფილების განცდა უჩნდება, რაც ურთიერთობებში უარყოფით ფონს ქმნის.

არსებობს აზრი იმის თაობაზე, რომ შური (მისი არააგრესიული ფორმები), შესაძლოა, ადამიანის თვითსრულყოფის მამოტივირებელი იყოს. ეს აზრი ჯერ კიდევ არისტოტელედან მომდინარეობს, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ ძველი ელადას ხანა დიდად განსხვავდებოდა დღევანდელი სხვაგან, შესაბამისად, ეს გრძნობაც, ადამიანებში განსხვავებულად ვლინდებოდა. იმასაც ამბობენ, რომ შურის საშუალებით ხდება შურის ობიექტის დაფასება, მისი მნიშვნელობის აღიარება. (“როგორ მშურს, რა კარგ ფორმაში ხარ!” - ვეუბნები კოლეგას, რომელმაც ზედმეტი კილოგრამები დაიკლო და კმაყოფილი ილიმება, რადგან მისი “მიღწევის” აღიარება). იქნებ ეს ასეცაა, მაგრამ განვითარებულ, ჰუმანურ საზოგადოებაში, იქნებ მორალურ-ზნეობრივი თვალსაზრისით უფრო მისაღები საშუალებებიც გამოინახოს.

შურის ერთ-ერთი ფუნქციაა საზოგადოებაში, ინდივიდებსა და ჯგუფებს შორის უთანაბრობის მოსპობა. მაგრამ მნიშვნელოვანია, თუ რა გზებითა და საშუალებებით ხდება ეს, რადგან

მოშურნის პრინციპებიდან გამომდინარე (ჰქონდეს ის, რაც შურის ობიექტს აქვს, არ დაუშვას მისი უპირატესობა) შესაძლოა, ეს სახიფათო იყოს ნებისმიერი უპირატესობის მქონე ადამიანისა თუ მოვლენისათვის.

ცნობილია, რომ შური ხშირად იჩენს ხოლმე თავს პოლიტიკური რეფორმებისა და სოციალური რეკონსტრუქციების დროს. გარდამავალ პერიოდებში იგი, შესაძლოა, დესტაბილიზაციისა და ნგრევის ხელისშემწყობიც იყოს. პოლიტიკოსები, ამგვარ საშუალებებს ხშირად ადამიანებით მანიპულირებისას იყენებენ ხოლმე. მაგრამ, მათ უნდა ახსოვდეთ, რომ ამით მნიშვნელოვნად უწყობენ ხელს საზოგადოებაში კონფლიქტების გამძაფრებას.

აღსანიშნავია, რომ შურის გაღვივებისათვის სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში და სიტუაციაში განსხვავებული პირობები არსებობდა. საზოგადოებაში შურის საწინააღმდეგოდ, მის შესაფერხებლად გარკვეული საშუალებებიცაა შემუშავებული. მაგალითად, შესაძლოა ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი იყოს პოზიტიური მორალურეთიკური კანონებისა და მსოფლმხედველობის შემუშავება, ადამიანების ინდივიდუალური თავისუფლებისა და ტოლერანტობის აღიარება, და ა.შ. ინდივიდუალურ დონეზე სწორედ ამას ემსახურება, მაგალითად, ის, რომ ბევრი თანამედროვე ორგანიზაციის მენეჯერი არ ახდენს თანამშრომლების ხელფასების აფიშირებას. შეკითხვა შემოსავლის რაოდენობის თაობაზე, განსაკუთრებით დასავლეთში, უხერხულად ითვლება.

შურის, ადამიანის ამ მეტად მნიშვნელოვანი თავისებურების შეფერხების მიმართულებით დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის აღზრდასა და მის მიერ საკუთარი თავის კონტროლს. და ბოლოს, რელიგიაც ხომ ამას გვიქადაგებს: “არა გული გითქმიდეს ცოლისათვის მოყვასისა შენისა, არა გული გითქმიდეს სახლისათვის მოყვასისა შენისა, არცა აგარაკისა, არცა მონისა მისისა, არცა მხევლისა მისისა, არცა ხარისა მისისა, არცა კარაულისა მისისა, არცა ყოვლისა საცხოვარისა მისისა, არცა ყოვლისა მისთვის, რაიცა იყოს მოყვასისა შენისა.”

ფაქტიურად, შური პიროვნების მსო-

ფლმხედველობრივი და ფსიქოლოგიური გაუწონასწორებლობით არის გამოწვეული. ეს გრძნობა იშვიათად უჩნდება დამოუკიდებელ, სრულფასოვან ადამიანს, რომელიც საკუთარი საქმეებითა და პრობლემებითაა დაკავებული. ერთხელ, ერთ ადამიანთან საუბარში ესპანელ ფილოსოფოს ეგზისტენციალისტს, მიგელ დე უნამუნოს უთქვამს: “თქვენში ყველაზე უფრო ის მომწონს, რომ არასდროს შემიმჩნევია შურის ნატამალიც კი”. “შურისთვის არ მცალია, - უპასუხა მოსაუბრემ - მე იმდენად მაინტერესებს ის გზა, რომელსაც მივყვები და ის, თუ სად მიმიყვანს იგი, რომ აქეთიქით საცქერი დრო არ მრჩება. არ მცალია სხვისი გზების თვალთვალისათვის და იმაზე შფოთვისათვის, რომ ვიღაცა უფრო სწრაფად მოძრაობს”.

შური მოშურნის “უძღურებას” ემყარება, რეალურს, ან წარმოსახულს. ადამიანი ხედავს, ან თვლის, რომ მას არ ძალუძს იმის მიღწევა, რასაც მის გვერდზე მდგომმა, რეალურმა კონკურენტმა მიაღწია. არადა, თვითოეულ ჩვენგანს ზომ უამრავი საინტერესო, ფასეული და მნიშვნელოვანი თვისება, უნარი და იქნებ ცხოვრებაში თავისი უნიკალური სავალი გზა გააჩნია. ყოველივეს თუ დავუმატებთ იმას, რომ ადამიანი თავის პიროვნული პოტენციალის მხოლოდ მცირე ნაწილის რეალიზებას ახდენს, ალბათ, უპრიანი იქნება, რომ დავფიქრდეთ, და მაშინ იქნებ ვძლიოთ კიდევაც საკუთარ თავში ზოგჯერ მომძლავრებულ ამ ავთვისებას, ჩვენი ენერჯია უფრო კონსტრუქტიული მიმართულებით მივმართოთ.

ბენვის ხიდზე

დალი ბერეკაშვილი

დღეს ფართოდ გავრცელებული აზრია, რომ საქართველო (და არა მარტო ის) გარდამავალ პერიოდში იმყოფება. ახლა არ ჩაუვლრძაველები პრობლემას, თუ საიდან სად გარდამავალ გზას ადგას ჩვენი ქვეყანა. ამას, მოცემული წერილის თვალსაზრისით, არცა აქვს მნიშვნელობა, მთავარია შევთანხმდეთ, რომ საქმე გვაქვს გარდამავლობასთან. ჩვენი წერილის თემასაც სწორედ გარდამავლობა წარმოადგენს. ქვეყანასთან ერთად ჩვენც, მოსახლეობაც გარდამავალ პერიოდში ვიმყოფებით. ეს გამოიხატება პოლიტიკურ ცვლილებებში, ყოველდღიური ყოფის მოშლაში, ადამიანთა ჩვეული ურთიერთობების რღვევაში, ლინგვისტურ ცვლილებებში და საერთოდ, სიცოცხლის ყველა სფეროს ძირეულ ცვლაში (თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი მიმართულებით, ნაწილობრივ ადღვა დარღვეული წონასწორობა).

გარდამავლობის, ანუ გადასვლის თავისებურებები საკმაოდ კარგადაა შესწავლილი ცნობილი მეცნიერის, ვიქტორ ტერნერის მიერ (რომლის წიგნსაც “სიმბოლო და რიტუალი” ვეყრდნობი). ეს თავისებურებები განსაკუთრებით კარგად ჩანს იმ ტომების რიტუალებში, წეს-ჩვეულებებში, რომლებსაც ადრე პრიმიტიულს ან პირველყოფილს ეძახდნენ. ახლა ამ სახელწოდებას აღარ ხმარობენ, რადგან ეს ტომები სულაც არ არიან პირველყოფილი (ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით) და არც პრიმიტიული, რადგან გარკვეულ შემთხვევებში უფრო ჰარმონიული და სრულყოფილი აღმოჩნდნენ, ვიდრე ე. წ. მაღალგანვითარებული, ცივილიზებული საზოგადოებები. ამიტომ, ახლა ხმარობენ ტერმინს “წინაინდუსტრიული საზოგადოებები”.

ასეთ საზოგადოებებში ბევრ სხვა რიტუალთან ერთად არსებობს რიტუალები, რომლებსაც უწოდებენ გადასვლის რიტუალებს - rites de passage. არნოლდ ვან გენეპი განსაზღვრავს მათ,



როგორც რიტუალებს, რომლებიც თან ახლავს ადგილის, მდგომარეობის, სოციალური პოზიციისა და ასაკის ყოველგვარ ცვლილებას. ასეთი რიტუალების ერთ-ერთი მთავარი დანიშნულებაა გაუადვილონ ცვლილებასთან შეგუების, მორგების პროცესი იმათ, ვისაც ეს ცვლილება ეხება. rites de passage-ის ტიპური მაგალითია ინიციაციასთან დაკავშირებული ადათები; ინიციაცია – ტერმინია, რომელიც აღნიშნავს მოზარდების (ვაჟების ან გოგონების) მოზრდილობასთან ზიარების ადათ-წესებს. ასეთ რიტუალებში მათ ხშირად უწევთ რთული, ზოგჯერ მტანჯველი წინააღმდეგობების გადალახვა, მძიმე პირობების მოთმენა. მაგალითისთვის, საინტერესოა ერთ-ერთი ტომის ინიციაციის

წესის მოყვანა. ამ ტომის ადამიანები საკუთარ თავს ნიანგებს უწოდებენ. ამიტომ მათ არ ეშინიათ ნამდვილი ნიანგების, იჭერენ მათ, აგროვებენ კვერცხებს (რაც ძალიან საშიშია, რადგან დედა ნიანგი გამეტებით იცავს მათ). მაგრამ “ნიანგის” საპატიო წოდებას მხოლოდ ის ზრდასრული მამაკაცები ფლობენ, რომელთაც გავლილი აქვთ ნიანგად “ხელდასმის” რთული, საიდუმლო რიტუალი. გარკვეულ ასაკს მიღწეული ვაჟები ვალდებული არიან ის გაიარონ. რიტუალის დროს მათ ტანზე ამოკვეთენ ნიანგის ტყავის მსგავს ნაჭდევებს. “ნიანგად” გადაქცევამდე მოსამზადებელი პერიოდია გასავლელი - ვაჟებს აშიშვლებენ, თავს პარსავენ და გარკვეული ხნით ცალკე ასახლებენ, ამ დროს მათ მხოლოდ ტომის ქურუმთან აქვთ ურთიერთობა, რომელსაც უსიტყვოდ ემორჩილებიან.

ტომის ქურუმის მოვალეობაში შედის, აგრეთვე, ტანზე ნაჭდევების ამოკვეთა. ამ პერიოდში, ქურუმი, თავს დედა ნიანგს უწოდებს, რომელიც ზრუნავს კვეცხებზე, სანამ ისინი გამოიჩეკებინან. ინიციატია გარკვეულწილად მსხვერპლსაც მოითხოვს, რადგან ეს პროცესი იმდენად მტკივნეულია, რომ ზოგიერთი ვერ უძლებს და კვდება.

გადასვლის რიტუალში არჩევენ სამ ფაზას: 1. გაყოფა; 2. ზღვარი; 3. შეერთება.

პირველ ფაზაში პიროვნება ან ჯგუფი წყდება სოციალურ სტრუქტურაში ადრე დაკავებულ ადგილს; მეორე, შუალედურ ანუ ლიბინალურ ფაზაში პიროვნების ან ჯგუფის თვისებები გაორებულია, იგი არც ძველია, არც ახალი, რაღაც გაურკვეველია. მესამე ფაზაში - აღორძინების ან გაერთიანების ფაზაში, გადასვლა სრულდება. გადასვლის სუბიექტი კვლავ სტაბილურ მდგომარეობას იძენს.

მართალია, გადასვლის თავისებურებები მკვეთრად და მკაფიოდ ვლინდება წინაინდუსტრიული საზოგადოებების რიტუალებში, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ისინი სხვაგან არ გვხვდება. გადასვლა, (ანუ, ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადანაცვლება) თავისი არსით ყველგან ერთია. უბრალოდ, წინაინდუსტრიული საზოგადოებების რიტუალებში იგი თავისი პირველსახით, შეუფარავად ვლინდება (ამიტომაც ვჩერდებით მათზე). ჩვენთვის ჩვეული სფეროდან, რომ მოვიტანოთ მაგალითი, გავიხსენოთ მოზარდი, რომელიც გარკვეულ ასაკში ამთავრებს სკოლას. იგი წყდება სოციალურ სტრუქტურაში ადრე დაკავებულ ადგილს. ეს შეესაბამება გადასვლის პირველ - გაყოფის ფაზას. მას მერე, რაც იგი აღარაა სკოლის მოწაფე, მასზე აღარ ვრცელდება წესები და კანონები, რომლებსაც იგი ადრე ექვემდებარებოდა: იგი აღარ არის ვალდებული იაროს სკოლაში, იჯდეს გაკვეთილებზე, მოამზადოს დავალება, დაემორჩილოს მასწავლებელს, კლასის სტრუქტურაში ჩვეული ადგილი დაიკავოს და სხვა. იგი აღარ არის სკოლის მოწაფე, აღარ არის ბავშვი. მაგრამ, ჯერ არც მოზარდია. ძველი მოვალეობები და უფლებები ჩამოსცილდა, ახალი, კი ჯერ არ შეუძენია რაიმე ახალ სტრუქტურაში ადგილი არ დაუკავებია. იგი, ასე ვთქვათ, ჰაერშია ჩამოკიდებული. ეს სტადია შეესაბამება გადასვლის მეორე ფაზას - ზღვარს, ლიბინალურ სტადიას. მესამე სტადია (შეერთება) დადგება მაშინ, როცა მოზარდი იპოვის თავის ახალ ადგილს.

გადასვლის ეს თავისებურებები ვრცელდება, როგორც მცირე, ისე დიდ ჯგუფებზე. მაგალითად, კომუნიტასის თვალსაჩინო გამოვლენა ინდუსტრიულ საზოგადოებაში იყო ჰიპების მოძრაობა დასავლეთ ევროპასა და ამერიკაში. როგორც ცნობილია, ეს იყო ახალგაზრდების გაერთიანება, რომლებმაც მთლიანად უარყვეს იმ საზოგადოების ცხოვრების წესი, რომელშიაც ადრე ცხოვრობდნენ. ისინი სტრუქტურის გარეთ არსებობდნენ, ცხოვრობდნენ ჯგუფებად, სადაც არ იყო არავითარი იერარქია, ატარებდნენ სქესის განურჩევლად ერთნაირ (დაახლოებით) ტანსაცმელს და სხვ.

განსაკუთრებით საინტერესოა ტერნერის აზრი ლიბინალურ ფაზაზე. ლიბინალობის და ლიბინალური არსებების ("ზღვრული ადამიანების") თვისებები ყოველთვის გაორებული, გაურკვეველი და ორაზროვანია. ისინი იმყოფებიან კანონს, წეს-ჩვეულებას, პირობითობას დაქვემდებარებულ მდგომარეობათა გარეთ (ამ მდგომარეობათა შორის, შუალედში). სხვადასხვა ხალხებთან ლიბინალური მდგომარეობა გამოიხატება ისეთი სიმბოლოებით, როგორიცაა, მზისა და მთვარის დაბნელება, უხილაობა, უდაბნო, დედის მუცელში ყოფნა და სხვა. ლიბინალური არსებები, მაგალითად ნეოფიტები, (ახალზიარებულნი) ინიციაციის წეს-ჩვეულებებში ზოგიერთ ტომში ურჩხულებად იკაზმებიან, ზოგან ატარებენ ძონძებს, ან შიშვლად დადიან. ამით ხაზი ესმება იმას, რომ მათ არ გააჩნიათ სტატუსი, ქონება, განმასხვავებელი ნიშნები, არაფერი, რაც განასხვავებს მათ სხვა ნეოფიტებისგან. მათი ქცევა, ჩვეულებრივ, პასიური და დამცირებულია. ისინი ვალდებულნი არიან უსიტყვოდ დაემორჩილონ უფროსებს და ჩივილის გარეშე მიიღონ უსამართლო სასჯელი. ისინი დამცირებულნი და ერთგვაროვნებამდე მიყვანილნი არიან იმიტომ, რომ შეიძინონ ახალი სახე, ახლიდან ჩამოყალიბდნენ. ერთმანეთს შორის ისინი ამხანაგურ და თანასწორ ურთიერთობას ამყარებენ. საინტერესოა, რომ ასეთ ადათებში დრო გვეძლევა, როგორც "წამი დროში და დროის გარეშე".

ტერნერი, ადამიანთა კავშირურთიერთობის ორ მოდელზე მიგვითითებს: ერთია საზოგადოების

ისეთი მოდელი, რომელსაც ახასიათებს პოლიტიკური, სამართლებრივი, ეკონომიკური მდგომარეობების, სტრუქტურული, დიფერენცირებული და იერარქიული სისტემა, სადაც არსებობს ადამიანთა “მეტი” და “ნაკლები” ნიშნით შეფასების დიდი ნაირგვარობა; მეორე მოდელი - მხოლოდ ლიბინალურ პერიოდში არსებული - არასტრუქტურირებული და შედარებით არადიფერენცირებული თემის ან თანასწორ პირთა ერთობა, რომლებიც ემორჩილებიან რიტუალური უხუცესების უმაღლეს ძალაუფლებას, ანუ, საზოგადოება წარმოადგენს სტრუქტურას, ან ანტი-სტრუქტურას. ტერნერი გამოყოფს მრავალ თვისებას, რომლის მიხედვითაც ერთმანეთისგან განასხვავებს სტრუქტურასა და ანტი-სტრუქტურას. ანტი-სტრუქტურულ საზოგადოებას, თემს იგი უწოდებს ლათინურ სიტყვას - “კომუნიტასი”. კომუნიტასი და სტრუქტურა ერთიმეორის საწინააღმდეგო თვისებების მატარებელი არიან:

სტრუქტურა

- უთანასწორობა
- განსხვავებული ტანისამოსი
- სქესთა შორის განსხვავებათა ხაზგასმა
- მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნა
- რთული, დახვეწილი მეტყველება
- პიროვნული საწყისის წინ წამოწევა
- გარეგნობაზე ზრუნვა
- სალი აზრი

კომუნიტასი

- თანასწორობა
- ერთნაირი ტანისამოსი ან სიშიშველე
- სქესთა შორის განსხვავების მინიმუმამდე დაყვანა
- მისტიურ ძალებთან კავშირი
- უბრალო, მარტივი, მდაბიო მეტყველება
- ანონიმურობა
- გარეგნობისადმი გულგრილობა
- სისუფლე

ლიბინალობის პრინციპს ყოველთვის ახორციელებენ ისინი, ვინც საზოგადოებაში ყველაზე დაბალ ადგილს იკავებს, ან საზოგადოებრივი სტრუქტურების გარეთ იმყოფება. “გათანაბრებისა” და “გამიშვლების” პროცესებს ისინი სრული ექსტაზის მდგომარეობაში მოჰყავს. ამ დროს შიშვლდება ყველა ინსტინქტი.

კომუნიტასის (ანტი-სტრუქტურის) ყველა ნიშანი ლიბინალობისთვის დამახასიათებელი ნიშნებია.

ტერნერი ასკვნის, რომ ცალკეული პიროვნებისათვის და ჯგუფებისათვის სოციალური ცხოვრება წარმოადგენს დიალექტიკურ პროცესს, რომელიც დაბალისა და მაღალის, კომუნიტასისა და სტრუქტურის, ერთგვაროვანისა და განსხვავებულის, თანასწორობისა და უთანასწორობის თანმიმდევრულ განცდას შეიცავს. დაბალი სტატუსიდან მაღალ სტატუსზე გადასვლა უსტატუსობის უდაბნოს გავლით ხორციელდება.

თუ ქართულ საზოგადოებას აღნიშნული თვალსაზრისით განვიხილავთ, შეიძლება ითქვას, რომ ლიბინალური პერიოდი, მისთვის დამახასიათებელი ბევრი თვისებებითურთ, მაგ: სალი აზრის დეფიციტი, მისტიური მიდრეკილებები, ლიბინალური არსებების ექსტაზი და ინსტინქტების გამიშვლება, რიტუალური უხუცესი და მრავალი სხვა – უკვე გავიარეთ. შეიძლება ითქვას, რომ ახლა გაერთიანების ფაზაში ვიმყოფებით.

კონკრეტულ სტრუქტურას შეიძლება ჰქონდეს ბევრი თვისება, რომელიც საერთოდ ანტი-სტრუქტურისთვისაა დამახასიათებელი. მაგრამ ეს თვისებები მან აუცილებლად ლიბინალურ პერიოდში შეიძინა. მაგალითისთვის შეიძლება მოვიყვანოთ თანამედროვე ქართული საზოგადოება რომელსაც, საკუთრივ, ლიბინალური პერიოდი უკვე გავლილი აქვს, სადაც შეიძლება დააკვირდე ისეთ მოვლენას, როგორცაა მეტყველების გაუბრალოება (ამან წარმოშვა ცნობილი სატელევიზიო გადაცემის - ”სწორია”, “შეცდომა”-ს აუცილებლობა). როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს ლიბინალური პერიოდის ნიშანია შემორჩენილი. იგივე შეიძლება ითქვას ლიბინალური მდგომარეობისთვის დამახასიათებელ დროის განცდაზე - როცა ცხოვრობ მხოლოდ აწმყოთი და შენი ქმედებების შორსმიმავალი შედეგები არ გედარდება - რაც ასევე გავრცელებულია ჩვენში.

ჩვენი საზოგადოებისთვის დამახასიათებელი თვისებების სტრუქტურისა თუ ანტი-სტრუქტურისთვის მიკუთვნება ძალიან შორს წაგვიყვანდა. ეს პატარა წერილი ამისთვის შეუფერებელია. მე მხოლოდ იმის ჩვენება მინდოდა, რომ ბევრი რამ (რაც იქნებ, პრობლემად ქცეულა), მხოლოდ აქ

ქალი და კონფლიქტი

გაგა ნიჟარაძე

კონფლიქტები სოციალური ცხოვრების განუყოფელ ნაწილს შეადგენს. ზოგი მათგანი გლობალურ მასშტაბს იღებს და აურაცხელი უბედურება მოაქვს, ზოგი ლოკალური უსიამოვნებით მთავრდება, ზოგსაც პროგრესი და სასიკეთო ცვლილებები მოყვება, ხშირად დაპირისპირებულ მხარეთა ნებისაგან დამოუკიდებლად.

მეცნიერული კვლევის საგნად კონფლიქტი არცთუ დიდი ხნის წინათ იქცა. მიუხედავად ამისა, ახალგაზრდა მეცნიერების, კონფლიქტოლოგიის მიღწევები უკვე საკმაოდ შთამბეჭდავია. როგორც გამოირკვა, კონფლიქტის ჩასახვა, განვითარება, დასრულება სრულიად გარკვეულ კანონზომიერებებს ემორჩილება, რომელთა ცოდნაც კონფლიქტის მართვის საშუალებას იძლევა. „ავთვისებიანი“ კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების რეცეპტი ჯერ არ არსებობს, მაგრამ პროგრესი პრაქტიკულ სფეროში მაინც შეიმჩნევა.

ამჯერად, ჩემს მიზანს არ წარმოადგენს კონფლიქტოლოგიის დებულებების გადმოცემა. ამ მეცნიერების, ისევე როგორც სხვა დისციპლინების, მონაპოვარი, ამ შემთხვევაში, მანტერესებს იმდენად, რამდენადაც იგი დამეხმარება მოცემული, უფრო ვიწრო თემის გახსნაში. ეს თემა კი არის ქალი კონფლიქტურ სიტუაციაში.

ბიოლოგია

ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ ცხოველთა სამყაროში მამრი გაცილებით უფრო „კონფლიქტურია“, ვიდრე მდედრი. ევოლუციამ მამრს „მიმღწევის“ ფუნქცია მიანიჭა, ხოლო მდედრს - „მცველისა“. ტერიტორიისა და სექსუალური პარტნიორის მოსაპოვებლად სახეობათა უმრავლესობაში სწორედ მამრს უწევს სერიოზული კონფლიქტების მთელს წყებაში გავლა. რაც შეეხება მდედრს (განსაკუთრებით ფრინველებ-

სა და ძუძუმწოვრებში), იგი აგრესიულ ქცევას ძირითადად მაშინ ავლენს (მტაცებელ სახეობათა გარდა), როდესაც მის ნაშიერებს საფრთხე ემუქრება, ზოგჯერ მშვიერი მამრისაგანაც კი.

საკულისხმოა, რომ იმ ცხოველებს, რომლებიც სახიფათო იარაღით - ბასრი კბილებით, კლანჭებით თუ ნისკარტით არიან აღჭურვილნი, ევოლუციამ უბოძა გენეტიკური მექანიზმი, რომელიც შეტაკებისას სასიკვდილო შედეგს აღკვეთს. როდესაც ორი ძველი სასტიკ ბრძოლას აჩაღებს და ერთ-ერთი ატყობს, რომ მოწინააღმდეგე უფრო ძლიერია, იგი თავს გვერდზე სწევს და მრისხანე მეტოქეს ყველაზე დაუცველ ადგილს - ყელს მიუშვებს და ხდება საოცრება: გამარჯვებულს დამბლა ეცემა; მისი პოზა, მიმიკა უჩვენებს, რომ იგი დიდი სიამოვნებით გამოასალმებდა სიცოცხლეს მოწინააღმდეგეს, მაგრამ არ შეუძლია - გენეტიკური მექანიზმი „ბლოკს უყენებს“ აგრესიულ ქცევას. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, მგლები, ყორნები და ბევრი სხვა სახეობა, რომლებსაც მსგავსი მექანიზმი გააჩნიათ, დიდი ხანია გადაშენდებოდნენ. ალბათ, ევოლუციის პროცესში უამრავი სახეობა გადაშენდა კიდევ, ვინაიდან ამგვარი მექანიზმი არ გამოუშუშავდათ. გასაგებია, რომ აღწერილი ინსტინქტური „ბლოკები“ ძირითადად მამრების კუთვნილებაა.

ცხოველისაგან განსხვავებით, ადამიანთა ცხოვრებაში ინსტინქტი მეორეხარისხოვან როლს თამაშობს. ადამიანის სოციალურ ცხოვრებას ძირითადად წარმართავს ზნეობა, ტრადიცია, რწმენა, ღირებულება, რაციონალიზმი და ა.შ. მაგრამ ინსტინქტური მემკვიდრეობაც არაა უკვალოდ გამქრალი. ზოგი ინსტინქტური მექანიზმი არ ეწინააღმდეგება ზნეობის მოთხოვნებს. მაგალითად, დანებების საყოველთაოდ გავრცელებული ფესტი - ზეაწეული ხელები დამარცხებული მგელის ქცევის ზუსტ ანალოგიას წარმოადგენს. მაგრამ ძირეული განსხვავება აქ ისაა, რომ ადამიანს

უიარაღო თანამოძმის მოკვლა შეუძლია, მგელს კი - არა. ადამიანის უნიკალობა იმაშია, რომ მას შეუძლია ნებისმიერი ინსტინქტის ძახილის წინააღმდეგ წავიდეს. ზიგმუნდ ფროიდი თვლიდა, რომ სწორედ ამ თავისებურების, სახელდობრ კი ინსტინქტის უშუალო სამიზნის სხვა ობიექტებზე გადატანის შედეგია კულტურა, საზოგადოება, მთელი თავისი სირთულით, პრობლემებითა და მასშტაბებით.

ინსტინქტური მემკვიდრეობის ანარეკლი შეიძლება შევამჩნიოთ მამაკაცებისათვის შედარებით ჩვეულებრივ, ხოლო ქალებისათვის ნაკლებად დამახასიათებელ ისეთ ქცევაში, როგორცაა ხელჩართული ჩხუბი. მამაკაცების ჩხუბისათვის გარკვეული „წესები“ დამახასიათებელი: ძირითადი სამიზნეა მოწინააღმდეგის სახე და მუცელი, ძირითადი იარაღი - მუშტი და წიხლი (სხვათა შორის, აღმოსავლური საბრძოლო ხელოვნებების ეფექტიანობა სწორედ იმაშია, რომ აქ სამიზნეებიცა და იარაღიც უჩვეულოა, „არაინსტინქტური“, ანუ ისეთი ილეთებია გამოყენებული, რომლის წინააღმდეგაც „ინსტინქტური“ დაცვა მზად არაა). რაც შეეხება ქალებს, ისინი გაცილებით იშვიათად მიმართავენ ხელჩართულ ბრძოლას, მაგრამ თუ ამგვარი სამწუხარო რამ მაინც მოხდა, ორთაბრძოლა სწორედაც რომ „წესების გარეშე“ მიმდინარეობს - საქმეში ერთვება ფრჩხილები, კბილები, თმებით თრევა და ა.შ., ანუ ყველაფერი ის, რასაც მამაკაცების ჩხუბში იშვიათად თუ ნახავ).

მაგრამ, ასეა თუ ისე, ადამიანებში სქესთა შორის როლების განაწილება, მიუხედავად აურაცხელი კულტურული ვარიაციისა, ზოგადად იგივეა, რაც ცხოველთა უმრავლესობის შორის - მამაკაცი „მიმღწევია“, ქალი - „მცველი“. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე მსოფლიოში კულტურული ჰეგემონის როლში მყოფ დასავლური კულტურის და ამ კულტურის წიაღში აღმოცენებული ფემინიზმის გავლენით გენდერული როლების დაახლოების ტენდენცია შეიმჩნევა. პროცესის საბოლოო შედეგის

განჭვრეტა ძნელია, მაგრამ უეჭველია, რომ გენეტიკური, ფიზიოლოგიური თუ ენდოკრინული ფაქტორების სრული დაძლევა სოციალურ ცხოვრებაში მაინც შეუძლებელია.

საინტერესოა, რომ ნაცადია „უნივერსალური“ გენდერული როლების თუ ფუნქციების (მამრი - აქტიური მიმღწევი; მდედრი - პასიური „დამცველი“) კიდევ უფრო განზოგადება და მათი თითქმის მეტაფიზიკურ დონეზე აყვანა. ერთი მოსაზრების მიხედვით, ზოგადად აღებული მამრის „ზღვრული“ ფუნქციაა საკუთარი გენების მაქსიმალური გავრცელება - ყველა მდედრის განაყოფიერება; ხოლო მდედრისა - გვარის ერთადერთ „მატრიარქად“ ქცევა. ამ მსჯელობას ძნელია თეორია, ან თუნდაც ჰიპოთეზა უწოდო, იგი იმდენად სპეკულაციურ და აბსტრაქტულ ხასიათს ატარებს; მაგრამ იგი მაინც არაა ინტერესმოკლებული. მის ერთგვარ ილუსტრაციად შემდეგი საგულისხმო ფენომენის მოყვანა შეიძლება, რომელიც ჩვენს თემასთან უშუალო კავშირშია.

ცნობილია, რომ ადამიანში აგრესია ყოველთვის არ გადაიზრდება ფიზიკურ ქცევაში; მან შეიძლება სიტყვიერი, ვერბალური გამოხატულება ჰპოვოს, მაგრამ დაკვირვება გვიჩვენებს, რომ აგრესიის გამოხატვისას ქალები და კაცები სხვადასხვა სემანტიკურ სფეროებს მიმართავენ. ყველაზე მძაფრი ვერბალური აგრესიის გამოხატულება მამაკაცებში უფრო ხშირად გინებაა, ხოლო ქალებში - წყევლა. გინებისათვის ისაა დამახასიათებელი, რომ იგი ძირითადად სექსუალურ შინაარსზეა აგებული და რეალურ თუ წარმოსახვით ობიექტს სწორედ სექსუალურად ამცირებს. წყევლა კი ძირითადად სიკვდილის მოსურვებას შეიცავს. ეს განსხვავება ქართულ ენაში ძალზე მკვეთრად გამოხატული.

ერთი რამ ცხადია: მამაკაცი გენეტიკურად და სოციალურად უფროა „მომართული“ კონფლიქტზე და უკეთესადაცაა მისთვის აღჭურვილი, ვიდრე ქალი. მაგრამ უამრავ კონფლიქტში, ნებსით თუ უნებლიეთ, ქალებიც არიან ჩართულნი

და ისევე, როგორც სხვა ცხოვრებისეულ სიტუაციებში, კონფლიქტში მათი ქცევა გარკვეული თავისებურებებით გამოირჩევა. თუმცა მკაცრი ექსპერიმენტი უჩვენებს, რომ ზოგჯერ იქ, სადაც სალი გონება გვკარნახობს, ქალი ასე და ასე უნდა მოიქცეს მამაკაცისაგან განსხვავებით, რეალობა სრულიად არ შეესატყვისება ვარაუდს.

კონფლიქტოლოგია

სოციალური ფსიქოლოგია განსაზღვრავს: კონფლიქტი არის მოქმედებათა ან მიზანთა შეუთავსებლობა, რეალური ან მიჩნეული. კონფლიქტოლოგიიდან ცნობილია, რომ კონფლიქტში მოხვედრილი ადამიანი ხუთ შესაძლო სტრატეგიას მიმართავს:

- 1) განრიდება - ადამიანს არ აინტერესებს კონფლიქტში ვინ დარჩება გამარჯვებული, არც თავის ინტერესებზე ფიქრობს - უბრალოდ არ ერევა კონფლიქტურ სიტუაციაში, თუნდაც იგი უშუალოდ მას ეხებოდეს. მოკლედ, „არაა ეს ჩემი საქმე“.
 - 2) შეგუება - ადამიანი არ ცდილობს კონფლიქტის მოგვარებას თუ გადაწყვეტას; იგი თავის ინტერესებს განზე სდებს, ოღონდაც არ გაუფუჭდეს ურთიერთობები კონფლიქტის სხვა მონაწილეებთან („ნუ, რას იზამ...“; „შეჩვეული ჭირი შეუჩვეველ ლხინს სჯობია“). ამგვარი სტრატეგიის სუბიექტი ხშირად ექსპლუატაციის საგანი ხდება.
 - 3) კომპრომისი - კონფლიქტის ყველა მონაწილე რაღაცას თმობს, რათა ურთიერთობებიც არ გაფუჭდეს და საქმეცაა წინ წაიწიოს („კარგი, გაფიცვას შევწყვიტავთ, მაგრამ გამგეობაში ჩვენი წარმომადგენელი იყოს“).
 - 4) კონკურენცია - მხოლოდ საკუთარ ინტერესებზე ზრუნვა („მხოლოდ გამარჯვება და ვაი დამარცხებულთ!“).
 - 5) თანამშრომლობა - საქმეზე ზრუნვა ყველა მხარის ინტერესების გათვალისწინებით.
- საგულისხმოა, რომ ხუთი აღწერილი სტილიდან არც ერთი არ არის „ყველაზე კარგი“,

რომელიც ნებისმიერ სიტუაციაში უფრო მომგებიანია. კონფლიქტური სიტუაციების უზარმაზარ მრავალფეროვნებაში ყოველი მათგანი სრულიად კონკრეტული თავისებურებებით გამოირჩევა (კონფლიქტის საგანი, მასში მონაწილე მხარეები, რესურსები და ა.შ.); შესაბამისად, კონკრეტულ კონფლიქტში, აღწერილი ტიპებიდან ნებისმიერი შეიძლება იყოს ქცევის ოპტიმალური სტრატეგია.

არსებული სტერეოტიპი და სალი გონება გვკარნახობს, რომ ქალი, უფრო მეტად ვიდრე მამაკაცი, არის ორიენტირებული კარგი ურთიერთობების შენარჩუნებაზე. კულტურათა დიდ უმრავლესობაში მამაკაცის სოციალური როლის ძირითადი ნიშანი მიზანდასახულობა და თვითდაჯერებულობაა, რაც ისეთ თვისებებს უკავშირდება, როგორცაა დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვა, აგრესია, დომინანტობა, თავის გამოჩენა; ხოლო ქალისა - სხვებზე ზრუნვა, რასაც უკავშირდება თანაზიარობა, დახმარებისათვის მზადყოფნა, თავმდაბლობა. აქედან გამომდინარე, თითქოსდა მოსალოდნელია, რომ ქალები უფრო უნდა იყვნენ მიდრეკილნი კარგი ურთიერთიერთობების შენარჩუნებაზე ორიენტირებული სტრატეგიებისაკენ (შეგუება, თანამშრომლობა). მაგრამ ექსპერიმენტული კვლევის შედეგები საკმაოდ წინააღმდეგობრივია. მაგალითად, მექსიკასა და აშშ-ში ჩატარებულ გამოკვლევაში გენდერული განსხვავებები სხვადასხვა სტილებისადმი მიდრეკილების თვალსაზრისით არ გამოვლინდა. ანალოგიურ გამოკვლევაში, რომელიც საქართველოში ჩატარდა, ამგვარი განსხვავებები დაფიქსირდა: ქალები სტატიისტიკურად უფრო ხშირად ავლენდნენ ორიენტაციას ისეთი სტრატეგიებისაკენ, როგორცაა შეგუება, თანამშრომლობა, განრიდება; კაცები კი უფრო იყვნენ მიდრეკილნი კონკურენციული სტილისადმი. გენდერული განსხვავება არ აღინიშნა მხოლოდ კომპრომისისადმი მზაობაში.

ეს შედეგები გვიჩვენებს, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს კონკრეტულ კულტურას, ანუ

ისტორიულად ჩამოყალიბებულ სოციალურ გარემოს, სადაც სრულიად გარკვეული ტრადიციები, ღირებულებები, ქცევის ნორმები, სტერეოტიპებია გავრცელებული; ნებისმიერი ადამიანი სწორედ მათი ძლიერი გავლენით ყალიბდება. უკვე ხსენებულ გამოკვლევაში გამოირკვა, რომ მექსიკელები, ქალებიც და კაცებიც, უფრო ზრუნავენ კარგი ურთიერთობების შენარჩუნებაზე, ხოლო ამერიკელები - შედეგზე და ინდივიდუალურ მიზნებზე. ჩვენს გამოკვლევაშიც გამოირკვა, რომ ქართველებში ბევრად სჭარბობს „ურთიერთობითი“ სტრატეგიები (კონკურენციისადმი მიდრეკილება კაცებმა კი გამოავლინეს უფრო ძლიერად, მაგრამ საერთო ფონზე ამ სტრატეგიის ხვედრითი წილი ქართულ ჯგუფში ძალზე დაბალი იყო).

კარგი ურთიერთობებისათვის ზრუნვა ე.წ. კოლექტივისტური კულტურებისათვისაა დამახასიათებელი. ასეთ კულტურაში ადამიანის ქცევა ძალზე მჭიდროდაა გადაჯაჭვული ჯგუფის ინტერესებთან, ხოლო ჯგუფი, საჭიროების შემთხვევაში, იცავს თავის წევრს და ზრუნავს მასზე; ძირითადი სოციალური რეგულატორი ჯგუფის ნორმებია. ამის საწინააღმდეგოდ, ე.წ. ინდივიდუალისტურ კულტურებში ინდივიდს უპირველეს ყოვლისა საკუთარი თავის იმედი აქვს და სხვებს ნაკლებ ყურადღებას აქცევს; ძირითადი სოციალური რეგულატორია აბსტრაქტული ნორმა - კანონი. კოლექტივისტები ადამიანს აფასებენ უფრო ხშირად სიტუაციურ კონტექსტში („ქრთამს არ აიღებს, მილიონიც რომ შესთავაზო“), ხოლო ინდივიდუალისტები ე.წ. დისპოზიციურში („ის პატიოსანია“). საქართველო და მექსიკა ტიპიური კოლექტივისტური კულტურებია, ხოლო აშშ - ინდივიდუალისტური.

მექსიკა იქით იყოს და საქართველოში ურთიერთობებიდან გამომდინარე, ვალდებულებები ფაქტობრივად ყველაზე მაღალ ღირებულებას წარმოადგენს (ჩემი მეგობარია ე.ი. ყოველთვის უნდა დავიცვა, თუნდაც საძრახის საქმეში). ამასთან, როგორც ექსპერიმენტული შედეგები უჩვენებს, ქართული კულტურის შიგნით ქალები მაინც უფრო არიან კეთილგანწყობილ ურთიერ-

ობაზე ორიენტირებულნი, ვიდრე კაცები. მაგრამ ეს არაა უნივერსალური კანონზომიერება, რაშიც მექსიკისა და აშშ-ის მაგალითები გვარწმუნებს.

ქართული კულტურის თავისებურებებს ჩვენ კიდევ დავუბრუნდებით, ახლა კი განვიხილოთ კიდევ რამდენიმე გენდერული განსხვავება კონფლიქტურ სიტუაციებთან მიმართებაში. აქვე აღვნიშნავ, რომ, მოლოდინის საწინააღმდეგოდ, ამგვარი განსხვავება, რომელიც მყარად დადგენილად შეიძლება ჩაითვალოს, არცთუ ისე ბევრია.

ერთი გამოკვლევის შედეგი საკმაოდ ტრივიალურია: ფიზიკურ მუქარას მამაკაცები ქალებზე გაცილებით უფრო ხშირად პასუხობენ ასევე ფიზიკური მუქარით, სხვა სიტყვებით, მამაკაცი, თუ მას უხეშად ჰკრეს ხელი, უფრო ხშირად პასუხობს იგივეთი. მეორე შედეგი უფრო საინტერესოა და მოულოდნელი: უკანონობას ან უსამართლობას ქალები უფრო ენერგიულად და მძაფრად პასუხობენ.

საკმაოდ ტრივიალურია შემდეგი დაკვირვებაც: 3-5 წლის ბავშვებში ბიჭები უფრო მეტ აგრესიას ავლენენ, ხოლო გოგონები უფრო კონფლიქტების შერბილებაზე ზრუნავენ. ბიჭები უმნიშვნელო საბაბზეც კი ჩხუბს ტეხავენ და ამასთან არ არჩევენ ბიჭს და გოგოს. რაც შეეხება გოგონებს, ისინი მუშტიკრივს მიმართავენ მხოლოდ ბიჭებთან კონფლიქტისას და თითქმის არასოდეს - როდესაც უთანხმოება სხვა გოგონებთან მოსდით. ბევრი გამოკვლევა მიედევნა გენდერულ განსხვავებებს მოლაპარაკებების პროცესში. აღმოჩნდა, მაგალითად, ქალები უფრო ადვილად ექცევიან მიმზიდველი ოპონენტის გავლენის ქვეშ. იგივე ავტორები მიუთითებენ, რომ მოლაპარაკებების მონაწილეებს (სქესის მიუხედავად) უფრო ხშირად გადააქვთ აქცენტი სადაო საკითხებზე მაშინ, როდესაც შუამდგომელი თუ დამკვირვებელი მამაკაცია, და ორივე მხარისათვის საერთო მომენტებზე, როდესაც იგივე როლს ქალი თამაშობს. ორივე სქესის ინდივიდები უფრო ადვილად მიდიან თანამშრომლობაზე, როცა საწინააღმდეგო მხარეს ქალი წარმოადგენს. და

ბოლოს, ორივე სქესი კონკურენციულ სტილს უფრო ხშირად მიმართავს სამსახურში, ხოლო თანამშრომლობითსა და შემგუებლურს - სახლში.

სოციოლოგია

მეოცე საუკუნეში უდიდესი გასაქანი მოიპოვა ფემინისტურმა მოძრაობამ.

რასაკვირველია, ქალთა მოძრაობის ფართო გაშლას თავისი ობიექტური მიზეზები ჰქონდა. უპირველეს ყოვლისა ეს იყო პატრიარქალური ოჯახის დაშლა. მამაკაცმა დაკარგა ოჯახის ერთადერთი მარჩენალის როლი, ეკონომიურმა დამოუკიდებლობამ კი, როგორც ეს ყოველთვის ხდება, წარმოშვა პოლიტიკური თანასწორუფლებიანობის მოთხოვნა. ეს მიზანი მიღწეულ იქნა, მაგრამ ფემინისტები მაინც თვლიან, რომ თანამედროვე დასავლურ საზოგადოებაში კაცებს ჯერ კიდევ გაბატონებული ადგილი უკავიათ. სხვათა შორის, ქალებისათვის ყველა პოლიტიკური უფლების მინიჭება - უკანასკნელი ბარიერი საყოველთაო თანასწორუფლებიანობის გზაზე დასავლურ სამყაროში. ჯერ გაუქმდა წოდებრივი დისკრიმინაცია, შემდეგ რასობრივი თუ ეთნიკური და ბოლოს - გენდერული.

მაგრამ ფემინიზმი, უდაოდ ინდივიდუალისტური კულტურის პირმშოა. თუმცა, დღევანდელ მსოფლიოში ინდივიდუალიზაციის ზრდა შეიმჩნევა, მაინც ჯერჯერობით კოლექტივისტური კულტურები სჭარბობს.

ყოფილ საბჭოთა კავშირში რაიმე ფემინისტურ მოძრაობაზე ფიქრიც კი, ზედმეტი იყო, მაგრამ სოციალური ძვრები, რომლებმაც დასავლეთში ფემინიზმის ჩამოყალიბება განაპირობეს, აქაც არსებობდნენ. სახელდობრ, სქესთა შორის განსხვავება ეკონომიკურ, დასაქმების, განათლების ასპექტებში აქ კიდევ უფრო მცირე იყო, ვიდრე დასავლეთში. ამასთან, საბჭოთა ქალს დატვირთვა საგრძნობლად მეტი ჰქონდა, ვიდრე მამაკაცს - სამსახურის გარდა, მის კისერზე იყო ძალზე მძიმე ოჯახური მეურნეობა. მაგრამ მუსლიმურ რესპუბლიკებში საბჭოთა წლებმაც ვერ დაანგრია გენდერული როლების ტრადიცი-

ული განაწილება. ამიტომ, მოსალოდნელია, რომ ქალების სოციალური ენერჯის აფეთქება ამ რესპუბლიკებში ჯერ კიდევ წინაა, თუ, რა თქმა უნდა, თავისი სიტყვა შარიათმა არ თქვა.

ცნობილია, რომ, თავისი ფიზიოლოგიური თუ ფსიქოლოგიური თავისებურებების გამო, ქალი უკეთ ართმევს თავს სტრესს, ვიდრე მამაკაცი (სხვათა შორის, ამაშია მიზეზი იმ ფაქტისა, რომ ქალების სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა მთელს მსოფლიოში მეტია, ვიდრე მამაკაცებისა). ამასთან, ქალი უფროა ჩართული ყოველდღიურობაში, ოჯახის საქმეებში და ამ სფეროში პოულობს თვითრეალიზაციის საშუალებებს, დადებითი ემოციების წყაროებს, თუნდაც საყოფაცხოვრებო პირობები ძალიან მძიმე იყოს.

გამორკვეულია ისიც, რომ მამაკაცს უფრო ხშირად ეუფლება შეყვარებულობა, მაგრამ სასიყვარულო ურთიერთობებში ქალი უფრო ღრმად, უფრო ინტიმურად არის ხოლმე „ჩაფლული“. ისიც ცხადია, რომ დედის ბავშვებთან ურთიერთობა გაცილებით უფრო ინტიმურია, ვიდრე მამისა. მაგრამ ეს ყველაფერი სამართლიანია მანამ, სანამ გარემომცველ სოციალურ რეალობას მეტ-ნაკლები სტაბილურობა ახასიათებს. როდესაც ჩვეული ორიენტირები ინგრევა, მომავალი გაურკვეველი ხდება, გარშემო ქაოსი და ანარქია ისადგურებს, ირკვევა, რომ ქალი კარგავს სულიერ წონასწორობას. არა მარტო ქალი, რა თქმა უნდა, მაგრამ მაინც, როგორც ეტყობა, სოციალური კატაკლიზმები ქალზე უფრო დესტრუქციულად მოქმედებს, რამდენადაც ნიადაგი ეცლება მისი არქეტიპულ ფუნქციას - „მცველის“ როლის შესრულებას. გარეშე გარემოებებით გამოწვეული კრიზისის პირობებში ადამიანისათვის საერთოდ დამახასიათებელია თუნდაც რაიმე, თუნდაც ძალიან საეჭვო სულიერი დასაყრდენის ძიება. ხოლო თუკი ამგვარი „ხავის“ მოიძებნა (ეს კი, როგორც წესი, ასე ხდება), ქალი მას უფრო მაგრად ეჭიდება და, შეიძლება ითქვას, მთელი არსებით ეძლევა. გარდამავალ ეპოქებში ასეთი დასაყრდენის როლში ხშირად გამოდის ქარიზმატული ლიდერი, როგორც წესი, მამაკაცი,

რომელიც, მარტივი ლოზუნგებისა და „ძლიერი პიროვნების“ იმიჯით კრიზისიდან საიმედო გამოსავლის ილუზიას ქმნის. ამასთან, საკუთრივ იდეოლოგიას, რომელსაც ამგვარი ლიდერი ქადაგებს, მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს - ჯერ კიდევ 1953 წელს ჩატარებულმა გამოკვლევამ აჩვენა, რომ ფაშისტური და კომუნისტური დაჯგუფებების წევრების პიროვნული მახასიათებლები პრაქტიკულად იდენტურია. აქ მთავარია მხოლოდ ლიდერის ქარიზმა და რადიკალიზმი. თუკი გავითვალისწინებთ, რომ ქალები უფრო შთაგონებადნი არიან, გასაგები ხდება, რომ ჰიტლერის, მუსოლინის, გამსახურდიას და სხვა ქარიზმატული ლიდერების (მათ შორის, სხვათა შორის, პოსტკომუნისტური ლიტვის პირველი პრეზიდენტის, ვ. ლანდსბერგისის) ყველაზე ერთგულ და ემოციურ თაყვანისმცემლებს სწორედ ქალები შეადგენდნენ.

გავბედავ და გამოვთქვამ სპეკულაციურ მოსაზრებას, რომ სტალინის სიცოცხლეში იგი ქალებს უფრო უყვარდათ, ვიდრე მამაკაცებს; მისი სიკვდილის შემდეგ თაყვანისმცემლებში გენდერული თანაფარდობა შეიცვალა, ვინაიდან თვით პიროვნება აღარაა და მისი ქარიზმის უშუალო შემოქმედება შეწყდა; დარჩა მხოლოდ მისი „საქმეები“, რაც უფრო მიმზიდველია მამაკაცისათვის. რაც შეეხება გამსახურდიას, აქ მდგომარეობა ჯერ-ჯერობით არ შეცვლილა, ვინაიდან ფსიქოლოგიურად და ზოგჯერ რწმენის დონეზეც კი იგი ჯერ კიდევ ცოცხალია.

კულტურის ფსიქოლოგია

გენდერული როლების ნორმატული განაწილება საქართველოში ტიპურია კოლექტივისტური კულტურისათვის. მამაკაცი დომინირებს საზოგადოებრივი ცხოვრების პრაქტიკულად ყველა სფეროში; მას მეტი უფლებები აქვს, ითვლება, რომ იგი უფრო ჭკვიანია და უნარიანი, ვიდრე ქალი. ამასთან, ქართული კულტურა მამაკაცისაგან მოითხოვს ე.წ. „მაჩისტური“ თვისებების დემონსტრირებას. ასეთი თვისებებია სექსუალობა, აგრესია, დომინანტობა. ხოლო ის

თვისებები, რომლებიც უკავშირდება მამაკაცის არა ბიოლოგიურ, არამედ სოციალურ ფუნქციას - ნებისყოფა, რაციონალიზმი, პროფესიონალიზმი - ჩვენს კულტურაში მეორეხარისხოვან ღირებულებებს განეკუთვნება.

რაც შეეხება ქალს, საქართველოში მისი უმთავრესი სოციალური ფუნქციაა იყოს კარგი დედა, ხოლო შემდეგ - კარგი დიასახლისი.

როგორც აღვნიშნე, ზემოთქმული ეხება ქართულ კულტურაში გენდერული როლების ნორმატულ განაწილებას; ფაქტობრივი მდგომარეობა კი განსხვავებულია. როგორც დაკვირვება გვიჩვენებს, ქართულ სინამდვილეში გადაწყვეტილების მიმღების როლში ძალიან ხშირად ქალი გვევლინება; ამასთან, ეს ეხება არა მარტო ოჯახურ გარემოს („ჩემი შვილი ექიმი უნდა გამოვიდეს“), არამედ უფრო ფართო საჯარო სფეროებს, „მაღალი“ პოლიტიკის ჩათვლით - გავიხსენოთ მჟავანაძისა და გამსახურდიას მეუღლეების მასშტაბური (და არცთუ სასიკეთო) გავლენა ქვეყნის საქმეებზე. ერთი სიტყვით, ფორმალური ლიდერი ქართულ კულტურაში მამაკაცია, ხოლო რეალური - ხშირად ქალი.

ამგვარი ვითარების მიზეზი ალბათ უნდა ვეძიოთ ჩვენს კულტურაში სწორედ იმ თვისებების დეფიციტში, რომლებიც ზემოთ ვახსენეთ და რომლებიც „ცივილიზებული მამაკაცის“ ხატს უკავშირდება - რაციონალობა, ნებისყოფა და მისთ. ამ დეფიციტს კი განსაზღვრავს ქართულ საზოგადოებაში ე.წ. „დედობრივი სიყვარულის“ და, შესაბამისად, დედის ხატის ჰიპერტროფია. „დედობრივი სიყვარული“ განისაზღვრება როგორც უპირობო სიყვარული - „ჩემია, ამიტომ ყოველთვის მეყვარება, რაც არ უნდა ჩაიდინოს და როგორც არ უნდა იყოს“; ხოლო „მამობრივი სიყვარული“ განპირობებულია - „მეყვარები, თუ იქნები ასეთი და ასეთი“. გასაგებია, რომ ტერმინები „დედობრივი“ და „მამობრივი“ პირობითია და სიყვარულის აღწერილი სახესხვაობები შეიძლება ნებისმიერი სქესისა და ოჯახური მდგომარეობის ადამიანებისათვის

იყოს დამახასიათებელი. ამის კარგი მაგალითია სწორედ ქართული კულტურა, სადაც დედობრივი სიყვარული მსჭვალავს პრაქტიკულად ყველა ძირითად სოციალურ ურთიერთობას, სადაც კი სიყვარულისათვის არის ადგილი - მშობლებისა და შვილების, ცოლ-ქმრულს, ნათესაურს, მეგობრულს... დედობრივი სიყვარულის გარემოში აღზრდილი და მასში მყოფი მამაკაცისათვის ხშირადაა დამახასიათებელი ინფანტილიზმი, სხვებზე მიჯაჭვულობა, არასრულფასოვნების კომპლექსი; სწორედ ამ უკანასკნელის კომპენსაციაა ის „მაჩისტური“, „მამაკაცობის“ ხაზგამსმელი სტერეოტიპები, რომლებზეც უკვე გვქონდა საუბარი.

ყველა ამ პროცესის თუ ტენდენციის შედეგია ის, რომ, როგორც პარადოქსულადაც არ უნდა ჟღერდეს, ქართული კულტურის წიაღში მამაკაცური საწყისის დეფიციტი: ამ დეფიციტს, უპირველეს ყოვლისა, ქალები გრძნობენ (თუმცა უნებლიეთ თვით უწყობენ მას ხელს). ამ ფაქტორს უნდა მივაწეროთ, ნაწილობრივ მაინც, რომ, ექსპერიმენტული მონაცემებით, ქართველი ქალები, მამაკაცებთან შედარებით, სტრესის უფრო მაღალ ხარისხს ავლენენ. და ამავე მიზეზმა განსაზღვრა ის, რომ ქართველი ქალების მნიშვნელოვანი ნაწილისათვის გამსახურდიას გამითოსებული ფიგურა იქცა მამაკაცის სამი ძირითადი სოციო-ბიოლოგიური როლის იდეალურ განსახიერებად: ბრძენი მამა - „მოსესი“, რომელმაც „იცის“; ქმარ-საყვარლისა და იდეალური შვილისა - „მერცხალა ბიჭის“, რომელსაც დაცვა სჭირდება „ცუდი კაცებისაგან“.

კონფლიქტთან მიმართებაში საინტერესოა ქართული კულტურის კიდევ ერთი თავისებურება. ყველა ჩვენთაგანი მრავალ სოციალურ როლს ასრულებს. ზოგი მათგანი სქესთანაა დაკავშირებული (ქმარი, დედა, ძმა, ქალი...), ზოგი კი არა (ექიმი, ინტელიგენტი, მოქალაქე...). ექსპერიმენტულმა გამოკვლევამ აჩვენა, რომ ქართულ კულტურაში გენდერული როლები უფრო ღირებულია. სახელდობრ, ცდის პირებს ევალებოდათ წარმოსახვით კონფლიქტში წარმოსახვითი ოპონენტისათვის წყენინება და შეურაცხყოფის

მიყენება. როგორც გამოირკვა, ასეთ შემთხვევაში უფრო ხშირად, ფარული თუ აშკარა, „სამიზნედ“ იქცევა ხოლმე ოპონენტის გენდერული როლი, ძირითადად საოჯახო (თუმცა არა მარტო). სხვა სიტყვებით, „საშუალო“ ქართველისათვის შედარებით ნაკლებად მტკივნეულია და შეურაცხყოფელი, თუ მოწინააღმდეგე აქცენტს აკეთებს მის, ასე ვთქვათ „ზოგადსაკაცობრიო“ თვისებებზე, მაგალითად, მიუთითებს ჭკუის ან პატიოსნების ნაკლებობაზე; გაცილებით უფრო მძაფრ რეაქციას იწვევს ეჭვის შეტანა გენდერული როლის სრულყოფილად შესრულებაში. სამწუხაროდ, ანალოგიური მონაცემები სხვა კულტურების მასალაზე არ მოიპოვება, მაგრამ მაინც საფიქრებელია, რომ ამ მხრივ მნიშვნელოვანი კულტურული განსხვავებები უნდა არსებობდეს.

გენდერულ კვლევებს კონფლიქტთან მიმართებაში საკმაოდ მცირე ხნის ისტორია აქვს და მოპოვებული მასალაც არცთუ ისე ბევრია, მაგრამ ეს მიმართულება უეჭველად პერსპექტიულია და ბევრ საინტერესოს გვპირდება.

არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართვა საქართველოს მოქალაქეებს, პრეზიდენტს, პარლამენტს

მიღებულია სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების ოფისში ჩატარებულ არასამთავრობო ორგანიზაციების შეხვედრაზე

ჩვენმა საზოგადოებამ და ხელისუფლებამ ერთხელ უკვე დასძლია ტოტალიტარულიდან თავისუფალი საზოგადოებისაკენ გადასვლის ერთ-ერთი ბარიერი, როდესაც აღიარა ადამიანის უფლებების და მოქალაქეობრივი თანასწორობის პრინციპები, მიუხედავად ეროვნებისა, რელიგიური მრწამსისა და ა.შ.

ამან გამოხატულა კპოვა, პირველ რიგში, ჩვენს კონსტიტუციასა და სამოქალაქო კოდექსში. ამის ლოგიკური გაგრძელება იყო სამოქალაქო აქტების რეგისტრაციისა და პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტებში ეროვნების აღმნიშვნელი რეკვიზიტების გაუქმება.

სამწუხაროდ, ეს საკითხი დღეს ისევ პოლიტიკური დისკუსიის საგნად იქცა. ეროვნულობის რეკვიზიტის ჩართვა სამოქალაქო დოკუმენტებში პრინციპულად მიუღებლად მიგვაჩნია.

სახელმწიფოს მიერ გაცემულ დოკუმენტში თითოეულ ჩანაწერს აქვს გარკვეული სამართლებრივი დატვირთვა და ემსახურება სახელმწიფოსა და მოქალაქეთა შორის უფლება-მოვალეობების აღსრულებას.

ეროვნების თუ სხვა დამატებითი (რასობრივი, რელიგიური, სოციალურ-წოდებრივი და ა.შ.) რეკვიზიტების შეტანა არღვევს მოქალაქეობრივი თანასწორობის კონსტიტუციურ პრინციპს და შეიძლება ემსახუროდეს მხოლოდ დისკრიმინაციას ან უპირატესობის მინიჭებას. აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ ამ ჩანაწერის დაკანონება კორუფციის დამატებითი წყარო გახდება.

ეთნიკური ნიშნის მიხედვით საქართველოს მოქალაქეების დაყოფა საფრთხეს უქმნის საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, საქართველოს, როგორც ერთიანი სახელმწიფოს იდეას და ხელს უწყობს სეპარატისტული განწყობილებების და ეთნოკონფლიქტების გაღვივებას.

მრავალი ათასწლეულების მანძილზე საქართველომ შეინარჩუნა ეროვნული იდენტურობა. ერის თვითმყოფადობას ინახავს საერთო კულტურა და ისტორია ყოველგვარი საბუთის გარეშე.

ჩვენ, არასამთავრობო, არაპოლიტიკური საზოგადოებრივი ორგანიზაციები ვთვლით, რომ საკითხის წამოჭრა მოახლოებული საპარლამენტო არჩევნების წინ ემსახურება ვიწროჯგუფურ პოლიტიკურ მიზნებს.

მოუწოდებთ პრეზიდენტს და პარლამენტს, გამოიჩინონ პრინციპულობა და კონიუნქტურულ ინტერესებს არ შესწირონ გრძელვადიანი სახელმწიფო ინტერესები.

თუ კანონში შეტანილი იქნება ანტიკონსტიტუციური ცვლილებები, საკითხის საბოლოოდ გადასაჭრელად მივმართავთ საკონსტიტუციო სასამართლოს.

1. სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება;
2. სტრატეგიულ გამოკვლევათა ცენტრი;
3. საქართველოს გაეროს ასოციაცია;
4. მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი;
5. სამხედრო-სამოქალაქო ურთიერთობებისა და უსაფრთხოების კვლევების ცენტრი;
6. განვითარების ინსტიტუტი;
7. სათემო ფონდი „ადგილის დედა“;
8. საქართველოს საზოგადოებრივ ურთიერთობათა განვითარების ინსტიტუტი;
9. აფხაზეთიდან დევნილთა ორგანიზაცია - „დაეხმარე საკუთარ თავს“;
10. კავშირი „პატარა ქალაქი“;
11. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია;
12. ველური ბუნების დაცვის ქართული ცენტრი;
13. კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი;
14. მედიის ინსტიტუტი;
15. თავისუფლების ინსტიტუტი;
16. სამოქალაქო უფლებათა და თავისუფლებათა ასოციაცია;
17. სამოქალაქო განვითარების საერთაშორისო ცენტრი;
18. სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი.

არაძალადობრივი ბრძოლის ისტორიული ფაქტები

დეა ლალუა

დღეს, როდესაც მსოფლიო ომების ციებ-ციხელებას მოუცავს და ადამიანის სიცოცხლე გაუფასურდა; როდესაც ძალადობა ყველგან და ყველაფერში გამოსჭვივის; მორალურ-ზნეობრივი ფასეულობანი შელახულია და ეჭვის ქვეშ დგას; დღეს, განსაკუთრებით აქტუალურია არაძალადობრივი ბრძოლის თეორია. არაძალადობრივი დაუმორჩილებლობა, ხშირად, შეცდომით უმოქმედობასთან არის გაიგივებული. მასზე ფიქრი და მით უფრო ცხოვრებაში გადმოტანა ბევრისათვის უტოპიაა, არაძალადობრივი წინააღმდეგობის მომხრენი, კი, უკეთეს შემთხვევაში, იდეალისტებად აღიქმებიან, რამეთუ ბრძოლის აქტიურ ფორმად მხოლოდ ძალადობა მიიჩნევა.

სინამდვილეში, არსებობს არაძალადობრივი ბრძოლის უამრავი ქმედითუნარიანი და ეფექტური მეთოდი, რომელთა გამოყენებაც, ხშირად გამარჯვების საწინდარი გამხდარა. მოცემულ წერილში მათი ჩამოთვლა შორს წავიყვანდა, თუმცა, ალბათ ჩვენი საზოგადოებისათვის ინტერე-

სმოკლებული არ უნდა იყოს.

არაძალადობა არ და არ ნიშნავს ქელი მოუხარო და დაემორჩილო უსამართლობას, იყო სუსტი და “ჭირთა დამთმენი”, პირიქით, ძალადობა და აგრესია გულისხმობს პოზიციის სისუსტეს, რადგან მისი დამკვიდრება მხოლოდ ძალის გამოყენებით თუ ხდება შესაძლებელი. თუმცა, საკითხისადმი ამგვარი მიდგომა “ურწმუნო თომებისთვის” არაა დამაჯერებლად ჟღერს. ნუ დაგწვრილმანდებით ინდივიდუალურ მაგალითებზე და ... გადავხედოთ ისტორიას.

ალბერტ ენშტეინის სახელობის ინსტიტუტში გადაწყვიტეს მოეძიათ ისტორიის სხვადასხვა მონაკვეთში და სხვადასხვა ქვეყანაში არაძალადობრივი ბრძოლის მეთოდის გამოყენების წარმატებული მაგალითები. აღმოჩნდა, რომ ბრძოლის ამგვარ მეთოდს გაცილებით ხშირად მოუტანია წარმატება, ვიდრე ეს დღეს არის მიჩნეული.

არაძალადობრივი ბრძოლის ისტორიული ფაქტები

ჩვ. წ. აღ-მდე 494 წელს

რომის პლებეებმა უარი თქვეს მუშაობაზე და ქალაქიდან გავიდნენ. ასეთი ქმედებით მათ აიძულეს რომის კონსული დაეკმაყოფილებინა მათი მოთხოვნები.

1765-1775 წ.

ბრიტანული მმართველობის წინააღმდეგ ამერიკელმა კოლონისტებმა სამი დიდი არაძალადობრივი აქცია მოაწყვეს, რაც 1775 წელს ცხრა კოლონიისათვის დამოუკიდებლობის მინიჭებით დასრულდა.

1850-1867 წ

უნგრელმა პატრიოტებმა, ფრენსის დიკის მეთაურობით არაძალადობრივი ბრძოლით იმას მიაღწიეს, რომ განთავისუფლდნენ ავსტრიის ბატონობისაგან და უნგრეთში თვითმართველობა აღადგინეს.

1905-1906 წ.

გაფიცვებითა და სხვა არაძალადობრივი ქმედებებით რუსეთის ინტელიგენციამ, სტუდენტებმა, მუშებმა და გლეხებმა აიძულეს ხელმწიფე მხარი დაეჭირა გადაწყვეტილებისათვის არჩევითი საკანონმდებლო ორგანოს შექმნის თაობაზე.

1917 წ.

თებერვლის რევოლუცია რუსეთში. მიუხედავად იმისა, რომ იყო ძალადობის ცალკეული შემთხვევები, საბოლოო ჯამში, ეს რევოლუცია მაინც არაძალადობრივად შეიძლება ჩაითვალოს. შედეგი – მეფის მართველობის დამხობა.

1913-1919 წ.

აშშ-ში ქალთათვის საარჩევნო უფლებების მინიჭების თაობაზე დემონსტრაცია ჩატარდა, რომლის შედეგადაც მიღებულ იქნა ის კონსტიტუციური ცვლილება, რომელიც არჩევნებში ქალთა უფლებების დაცვის გარანტი იქნებოდა.

1920 წ.

ვაიმარის რესპუბლიკის წინააღმდეგ ვოლფგანგ კაპპის მიერ ორგანიზებულმა გადატრიალების მცდელობამ კრაზი განიცადა, რადგან ვაიმარის მოსახლეობამ უარი განაცხადა ახალი მთავრობისათვის მხარი დაეჭირა.

1923 წ.

სასტიკი რეპრესიების მიუხედავად, რურის გერმანელმა მოსახლეობამ ფრანგულ და ბელგიურ ოკუპაციას ძლიერი წინააღმდეგობა გაუწია, გახადა რა იგი იმდენად ძვირადღირებული პოლიტიკურადაც და ეკონომიკურადაც, რომ ოკუპანტები იძულებულნი შეიქნენ დაეტოვებინათ რური.

1920- 1947 წწ.

ამ წლებში, ინდოეთში, მაჰათმა განდის მეთაურობით, არაძალადობრივი დაუმორჩილებლობის მოძრაობამ გაშალა ფრთები. მიზანი – ბრიტანეთის იმპერიის მართველობიდან გათავისუფლება და ინდოეთის სრული დამოუკიდებლობა. ამ მოძრაობამ გამარჯვება მოუტანა ინდოეთს.

1940-1945 წწ.

უამრავი მაგალითია მეორე მსოფლიო ომის დროს ნაცისტური ოკუპაციის წინააღმდეგ მიმართული ადგილობრივი მოსახლეობის არაძალადობრივი წინააღმდეგობისა. განსაკუთრებით ბევრი შემთხვევა იყო ნორვეგიაში, დანიაში.

1944 წ.

ორი დიქტატორი ცენტრალური ამერიკიდან – მაქსიმელიან ფერნანდეს მარტინესი (სალვადორი) და ხორხე უბიკო (გვატემალა) – ჩამოაგდეს არაძალადობრივი სამოქალაქო აჯანყების შედეგად.

1953 წ.

გაფიცვათა ტალღამ, საბჭოთა ბანაკებში, შედარებით გააუმჯობესა პოლიტიკატიმართა მდგომარეობა.

1955-1968 წწ.

აშშ-ში სამოქალაქო უფლებებისთვის მოძრაობამ იმას მიაღწია, რომ 1964 წელს მიღებულ იქნა კანონი სამოქალაქო უფლებებზე, ხოლო 1965 წელს – კანონი ამომრჩეველთა უფლებებზე. მიზნის მისაღწევად გამოყენებული იყო მრავალფეროვანი ბრძოლის არაძალადობრივი მეთოდები, მაგალითად, ავტობუსების მძღოლთა ბოიკოტი, ეკონომიკური ბოიკოტი, მასობრივი დემონსტრაციები, საპროტესტო მარშები და მჯდომარე გაფიცვები.

1968-1969 წწ.

ჩეხოსლოვაკიაში, საბჭოთა ჯარების შეჭრის შემდეგ, დუბჩეკის მთავრობამ კიდევ რვა თვე იარსება. ეს შესაძლებელი გახდა ადგილობრივი მოსახლეობის არაძალადობრივი წინააღმდეგობის გაწევის შედეგად. სამხედრო წინააღმდეგობის შემთხვევაში ეს ვადა გაცილებით ნაკლები იქნებოდა.

1986 წ.

ფილიპინების სახალხო მოძრაობამ დაამხო ფ. მარკოსის დიქტატურა.

* * *

P. S. მაჰათმა განდის საყვარელი გამოთქმა იყო - „არაძალადობა მხოლოდ ძლიერთა იარაღია“. მაშ, ვიყოთ ძლიერნი!

ტესტი

კონფლიქტური პიროვნება ხართ თუ არა?

მოცემული ტესტი საშუალებას მოგცემთ გაარკვიოთ კონფლიქტური პიროვნება ხართ თუ არა. თითოეული კითხვისათვის სამი (ა, ბ ან გ) ვარიანტიდან ამოირჩიეთ მხოლოდ ერთი პასუხი.

1. საზოგადოებრივ ტრანსპორტში კამათი დაიწყო. თქვენი რეაქცია?

- ა. - კამათში არ ვერთვები.
- ბ. - მოკლედ გამოვთქვამ ჩემს აზრს იმ მხარის დასაცავად, რომელსაც სწორად მივიჩნევ.
- გ. - აქტიურად ვერთვები და “დარტყმას საკუთარ თავზე ვიღებ”.

2. აკრიტიკებთ თუ არა ხელმძღვანელობას კრებებზე?

- ა. - არა;
- ბ. - მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ამის აუცილებლობაა;
- გ. - ვაკრიტიკებ ნებისმიერი საბაბით არა მხოლოდ ხელმძღვანელობას, არამედ მათ დამცველებსაც.

3. ხშირად კამათობთ მეგობრებთან?

- ა. - მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ეს მათ არ სწყინთ;
- ბ. - მხოლოდ პრინციპულ საკითხებზე;
- გ. - კამათი ჩემი სტიქიაა.

4. როგორ რეაგირებთ თუ ვინმე ცდილობს ურიგოდ “გადრომას”, მაშინ როდესაც თქვენ რიგში დგებართ?

- ა. - გავბრაზდები, მაგრამ არაფერს არ ვიტყვი;
- ბ. - შენიშვნას ვაძლევ;
- გ. - წინ გავდივარ და რიგის მსვლელობას ვაკონტროლებ.

5. სახლში, სადილად უმარილო კერძი მოგიტანეს. თქვენი რეაქცია?

- ა. - ასეთ წვრილმანებს არ ვაქცევ ყურადღებას;
- ბ. - უხმოდ ავიღებ სამარილეს;
- გ. - თავს ვერ შევიკავებ ღვარძლიანი შენიშვნისგან და, შესაძლოა, სადილზე დემონსტრირებულად უარი ვთქვა.

6. თუკი ქუჩაში ან ტრანსპორტში ფეხზე

დაგაბიჯეს...

- ა. - აღშფოთებული შევხედავ ამ საქციელის ჩამდენს;
- ბ. - ცივად მივცემ შენიშვნას;
- გ. - ვეტყვი ყველაფერს რასაც ამასთან დაკავშირებით ვფიქრობ და არ მოვერიდები ნებისმიერ გამოთქმას;

7. თუკი თქვენმა ახლობელმა იყიდა ისეთი რამ რაც თქვენ არ მოგწონთ...

- ა. - არაფერს ვეტყვი;
- ბ. - შემოვიფარგლები მოკლე, ტაქტიანი კომენტარით;
- გ. - ვიჩხუბებ.

8. ლატარეაში ბედმა არ გაგიღიმათ. რას იზამთ?

- ა. - გულგრილობას გავითამაშებ, მაგრამ გადავწყვეტ, რომ აღარასდროს მივიღებ მონაწილეობას მსგავს თამაშებში.
- ბ. - გაღიზიანებას არ დავფარავ, მაგრამ ამ შემთხვევას იუმორით მივუღებ იმ იმედით, რომ შემდგომში მაინც მოვიგებ.
- გ. - წაგება დიდი ხნით გამიფუჭებს გუნებას.

ახლა კი დაითვალეთ ქულები

ა - 4 ქულა; ბ - 2 ქულა; გ - 0 ქულა.

თუ შეაგროვეთ:

22-დან 32 ქულამდე

თქვენ ტაქტიანი და მშვიდობისმოყვარე ხართ, მოხერხებულად არიდებთ თავს კამათსა და კონფლიქტებს, კრიტიკულ სიტუაციებს სამსახურსა და სახლში. გამონათქვამი “პლატონი ჩემი მეგობარია, მაგრამ ჭეშმარიტება უფრო დიდი მეგობარია” თქვენი დევიზი არასოდეს ყოფილა.

საერთოდ კი, გამბედაობა მოიკრიბეთ და თუკი გარემოება მოითხოვს გამოიჩინეთ პრინციპულობა.

12-დან 22 ქულამდე

თქვენ კონფლიქტურ ადამიანად ითვლებით, მაგრამ სინამდვილეში კონფლიქტზე მხოლოდ იმ შემთხვევაში მიდიხართ, როდესაც სხვა გამოსავალი არ არის და ყველა სხვა საშუალება ამოწურულია. თქვენ მტკიცედ იცავთ საკუთარ მოსაზრებებს და არ ფიქრობთ იმაზე თუ როგორ აისახება ეს ყოველივე თქვენს სამსახურეობრივ მდგომარეობაზე ან მეგობრულ ურთიერთობებზე. ამასთან, ყოველთვის კორექტული ხართ და თავს არ იმცირებთ იმით, რომ სხვას შეურაცხყოფა მიაყენოთ. ამით თქვენ პატივისცემას იმსახურებთ.

10-დან 0 ქულამდე

შენიშვნები და კონფლიქტები თქვენთვის ჰაერია, რომლის გარეშეც ვერ ცოცხლობთ, გიყვართ სხვათა კრიტიკა, მაგრამ თქვენს მიმართ გამოთქმულ შენიშვნას ვერ იტანთ და მისი მთქმელი შეგიძლიათ “ცოცხლად შეჭამოთ”. თქვენი კრიტიკა კრიტიკისთვისაა და არა საქმისთვის. ძალიან უჭირთ თქვენს გვერძე მყოფთ სამსახურშიც და სახლშიც. თქვენი თავშეუკავლებლობა და უხეშობა აფრთხობთ გარშემომყოფთ, ამიტომ ხომ არ არის, რომ ნამდვილი მეგობრები არ გყავთ? ერთი სიტყვით, შეეცადეთ აჯობოთ საკუთარ აყვია ხასიათს.

ქალი და ეთნოკონფლიქტი

მანანა დარჯანია

კავკასიაში ქალის შესაძლებლობებზე და დიპლომატიურ ნიჭზე (ზავის ჩამოგდების, ერთ-ერთს გადამტერებული ვაჟკაცებისა თუ საგვარეულოების შერიგების და სისხლისღვრის აცილების შესახებ) არსებული ლეგენდა თუ მითი სათავეს, ალბათ მართლაც რეალობიდან იღებდა. მაგრამ ბოლო წლების მოვლენებმა კავკასიელი ქალი სულ სხვა კუთხით დაგვანახა. კერძოდ, ნაციონალისტური იდეებით გატაცებამ ქალების მნიშვნელოვანი ნაწილი მათი შინაგანი ბუნებისათვის მიუღებელი გადაწყვეტილებების - ეთნიური დავის ძალადობრივი გზით გადაჭრის აქტიურ მომხრედ აქცია.

მაგრამ ადამიანისათვის, განსაკუთრებით ქალისათვის, შუღლი და მტრობა მუდმივი იდეური პრინციპი ვერ იქნება. ქალი სხვებზე ადრე ჩასწვდა ომის აბსურდულობას. ამიტომაც იგი დღეს ურთულესი პრობლემის - ეთნიური კონფლიქტების მშვიდობიან დარეგულირებაში, ტრადიციების აღდგენითა და მათზე დაყრდნობით, ცდილობს მოსინჯოს თავისი შესაძლებლობები. მაგრამ როგორ დააბალანსოს კონფლიქტის შედეგად დაპირისპირებული მხარეების, პოლიტიკური მამების, ლიდერების ინტერესები, სამართლიანი და უსამართლო პრეტენზიები თუ ამბიციები? რით უმკურნალოს ომში დაღუპული ბიჭებისათვის

შურისძიების ჯერ კიდევ ჩაუმქრალ გრძნობებს? როგორ გაანეიტრალოს აგრესია,რომელსაც ომის განახლების საშიშროება მუდმივად თან ახლავს? როგორ დასძლიოს ის წინააღმდეგობა,რომელიც ერთი მხარის მიერ დევნილი ხალხის მშობლიურ კერაზე დაბრუნების უფლებების იგნორირებაში გამოიხატება?

ზემოთ ჩამოთვლილი და კიდევ სხვა მრავალი პრობლემებით დატვირთული, პოსტ-კონფლიქტური საზოგადოებების წარმომადგენელი ქართველი და აფხაზი ქალების შეხვედრა, რომელსაც ასევე კავკასიის სხვა, კონფლიქტში მყოფი რეგიონებისა და რესპუბლიკების(აზერ-

ბაიჯანი, სომხეთი, ყარაბაზი) წარმომადგენლები



ესწრებოდნენ, ცხადია, მარტივი და ეფექტურ შედეგებზე გათვლილი ვერ იქნებოდა.

შეხვედრა,ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის: “ ქართველებსა და აფხაზებს შორის ნდობის აღდგენის ღონისძიებები”-ს ფარგლებში მიმდინარეობდა. პროექტის თანაბარუფლებიანი პარტნიორები არიან: „კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების კვლევის საერთაშორისო ცენტრი“ (თბილისი),ბრიტანული საერთაშორისო ორგანიზაცია “ინტერნეშნლ ალერტი” (ლონდონი),ფონდი “სამოქალაქო ინიციატივა - მომავლის ადამიანი” (სოხუმი).

ქალთა ორგანიზაციების წარმომადგენლები ხუთი დღის განმავლობაში ეცნობოდნენ ერთმანეთის საზოგადოებების პრეტენზიებს, კამათობდნენ, მსჯელობდნენ, ეძებნენ გამოსავალს, რომელიც ამ ეტაპზე არა პოლიტიკურ, არამედ

ნდობის აღსადგენი გზების ძიებას ითვალისწინებს. მაგრამ პოსტკონფლიქტურ საზოგადოებებში მტრის ხატის სტერეოტიპი კვლავაც ძლიერია. საზოგადოებები კვლავაც ფოკუსირებული არიან მხოლოდ თავიანთ მსხვერპლსა და ზარალზე, ტკივილზე. ამიტომ, მოულოდნელი არ აღმოჩნდა, რომ შეხვედრის პირველ ეტაპზე მხარეების მიერ ერთურობისათვის წაყენებულმა პრეტენზიებმა დაპირისპირებულობის რეალური სურათი აჩვენა. მისი არსი კი იმაში მდგომარეობს, რომ საზოგადოების ამ მშვენიერ სქესშიც, როგორც აზროვნების წესში, ასევე ჩვეულებებში, მიდრეკილებებში პრიორიტეტი კვლავ საბჭოთა მენტალიტეტს ენიჭება და აქედან გამომდინარე სხვათა აზრის, მოთხოვნების მიმართ კვლავაც შეუწყნარებლობის პრინციპი მოქმედებს.

თუ რამდენად შესძლებენ კონფლიქტის მოგვარების კვალდაკვალ აზროვნების წესის შეცვლას ჩვენი მშვიდობისმყოფელი ქალები, ამას დრო და გარემოება გვიჩვენებს. მიუხედავად არსებული წინააღმდეგობისა, სოჭის შეხვედრამ აჩვენა, რომ შუღლისა და მტრობისგან მორალურად ყველაზე უფრო დაზარალებულმა საზოგადოების ნაწილმა - ქალებმა, არსებული რეალობიდან და შესაძლებლობებიდან გამომდინარე გეზი ტრადიციულად მაინც სიკეთისკენ აიღეს. ქალურ ინტუიციასა და სიფრთხილეზე დაყრდნობით ერთურობს მხოლოდ ის იღებენ და პროექტები შესთავაზეს, რომელთა განხორციელება ამ ეტაპზე ორთავე მხარისათვის შესაძლებელია. ეს არის მშვიდობის კულტურის აღორძინების, ახალგაზრდა თაობებისათვის სამოქალაქო აზროვნების ჩამოყალიბების, პოსტკონფლიქტური საზოგადოებებისათვის სამედიცინო დახმარების აღმოჩენის და სხვა ღონისძიებათა გეგმები თუ პროექტები.

შესაძლოა ყოველი მათგანი, გარკვეული მიზეზების გამო, ვერ განხორციელდეს, მაგრამ მთავარია, რომ შეხვედრის მონაწილენი საბოლოოდ დარწმუნდნენ - ერთურობისაგან

იზოლირებულად, ერთურთის პრობლემებისა და ტკივილების გათავისების გარეშე ომსა და შუღლს ვერ დაამარცხებენ.

ამის დასტურად, ამ ფოტოზე აღბეჭდილი ცოცხალი ქანდაკების მოდელი გამოგვადგება, რომლის ინსცენირებაც ქართველმა და აფხაზმა, სომეხმა და აზერბაიჯანელმა ქალებმა ერთიანი ძალისხმევით შესძლეს. ეს მხოლოდ დასაწყისია.



ხე სიცოცხლისა

კონფლიქტების მოგვარების საშუალებები

ჯინ გ. სკოტი

1. იფიქრეთ იმაზე თუ რა შეიძლება გასწავლოთ კონფლიქტმა.
2. კითხეთ თქვენს შინაგან “მე”-ს თუ რა სარგებლობის გამოტანა შეგიძლიათ ამ სამწუხარო გამოცდილებიდან.
 3. მიუჩინეთ კონფლიქტს შესაბამისი ადგილი.
 - ა) უარყოფით ცხოვრებისეულ გამოცდილებას ნუ მისცემთ საშუალებას გზას აგაცდინოთ.
 - ბ) გაარკვეეთ საკუთარი პოზიცია და იქიდან გამომდინარე იმოქმედეთ. არ დაუშვათ სხვა ადამიანების ზემოქმედება თქვენს პოზიციაზე.
 - გ) გახსოვდეთ, რომ კონფლიქტი ცხოვრების მხოლოდ მცირე ნაწილია.
 4. გაინთავისუფლეთ თავი იმ უარყოფითი ემოციებისგან, რომელიც კონფლიქტის შემდეგ რჩება ხოლმე.
 - ა) ისწავლეთ საკუთარი თავის პატიება.
 - ბ) მოიცადეთ ცოტა ხანი, სანამ კონფლიქტით გამოწვეული უარყოფითი ემოციები დაცხრება.
 - გ) იფიქრეთ იმაზე, რომ სხვა ადამიანებმა შეიძლება ნაკლებად კრიტიკულად შეაფასონ თქვენი ქმედება, ვიდრე თავად აფასებთ.
 5. არ დაუშვათ, რომ სხვა ადამიანებმა რაიმე დაბრკოლება შეგიქმნათ.
 - ა) ერიდეთ ისეთ ადამიანებს, რომლებიც განგსჯიან და ეცადეთ ურთიერთობა იქონიოთ დადებით, კეთილგანწყობილ ადამიანებთან.
 - ბ) ნუ დახარჯავთ დიდ დროსა და ენერგიას სკეპტიკოსების ან ისეთი ადამიანების გადაბირებაზე, რომლებიც არც კი გისმენენ.
 - გ) არ დაუშვათ, რომ სხვებმა თქვენში დანაშაულის გრძნობა გამოიწვიონ.
 - დ) მზად იყავით იმ ადამიანებთან ურთიერთობისათვის, რომელთაც, თქვენი აზრით, კონფლიქტის შემდეგ უსიამოვნო განცდა დარჩათ.

ქ რ ო ნ ი კ ა

სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის პრინციპი ამ საზოგადოების გააქტიურებას მოითხოვს. ქვეყანაში არსებულ მდგომარეობასა თუ პრობლემებზე ის გარკვეულ, თავის წილ პასუხისმგებლობას უნდა გრძნობდეს. ზემოთქმული, ეთნიკური კონფლიქტების დარეგულირებასათვის ალტერნატიული გზების ძიებისაც შეეხება.

„ნდობის აღდგენის ღონისძიებები ქართველებსა და აფხაზებს შორის“ – პროექტი, რომლის ფარგლებშიც “კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი” ქართულაფხაზურ არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის შეხვედრებს აწყობს. პარტნიორები არიან ფონდი “სამოქალაქო ინიციატივა – მომავლის ადამიანი” (სოხუმი) და საერთაშორისო ბრიტანული ორგანიზაცია “ინტერნეშნლ ალერტი” (ლონდონი).

სწორედ ამ პროექტის ფარგლებში, გასულ წელს, ქართულ-აფხაზური მხრიდან, ასევე სამხრეთ და ჩრდილო კავკასიის რეს-



პუბლიკებიდან შეხვედრებში მონაწილეობა მიიღო არასამთავრობო და სამთავრობო ორგანიზაციების, ინტელიგენციის, ახალგაზრდობის წარმომადგენლებმა, სულ 80-მდე ადამიანმა.

წლის ბოლოს, კი „კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრმა“ საზოგადოებრიობასთან შეხვედრა-დიალოგი მოაწყო. შეხვედრის მიზანი

– საზოგადოებრიობისათვის ამ პროექტის ფარგლებში ცენტრის საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება იყო. ამასთანავე, ანალიზი იმისა, თუ რეალურად რა გაკეთდა, რა პერსპექტივა გვესახება ქართულ-აფხაზური ურთიერთობების მოწესრიგების გზაზე და როგორ აფასებს საზოგადოება, მთავრობა არასამთავრობო სექტორის როლს კონფლიქტის დარეგულირებაში. საჭიროა თუ არა ამ მიმართულებით მთავრობისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მჭიდრო თანამშრომლობა?

შეხვედრა მართლაც საინტერესოდ წარიმართა. აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით მრავალი მოსაზრება გამოითქვა. ქართულ-აფხაზური არასამთავრობო დიალოგი დადებითი მოვლენაა - აღნიშნეს შეხვედრის მონაწილეებმა, ამასთანავე, აუცილებელია სახალხო დიპლომატიის კიდევ უფრო მეტად გააქტიურება, რამეთუ თანდათან აშკარად იკვეთება აფხაზი პარტნიორების მხრიდან თანამშრომლობის სურვილი; ისახება კონკრეტული, ერთობლივი იდეები, პროექტები, რომელთა განხორციელებაც ადამიანებს პარტნიორებად, თანამშრომლებად აქცევს; არასამთავრობო დონეზე შეხვედრები დაპირისპირებულ მხარეებს თანდათან აჩვენებს დაინახონ, გაიგონ მეორე მხარის ტკივილები და პრობლემები; ქართულ-აფხაზური დიალოგის მონაწილეებმა დადებით ფაქტორებს შორის აღნიშნეს ის ტენდენცია, რომ აფხაზური მხარე შედარებით ჰუმანური, ლოიალური გახდა დევნილთა დაბრუნების საკითხისადმი, ვიდრე რამდენიმე წლის წინ იყო.

მაგრამ, არ შეიძლება აქვე არ აღვნიშნოთ, რომ არსებობს მრავალი ფაქტორი, რომელიც აფერხებს არასამთავრობო დიალო-

ოგის უფრო მაღალეფექტურ წარმართვას. ჯერ კიდევ ვერ მოხერხდა საზოგადოების, ასევე სამთავრობო სტრუქტურების წარმომადგენლების მიერ სახალხო დიპლომატიის როლის ნათლად გაცნობიერება, მიიჩნევენ რა, რომ მისი შედეგები მხოლოდ პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებაზე უნდა იყოს გათვლილი. პოსტკონფლიქტურ საზოგადოებებში კონფლიქტის მშვიდობიანი გზით გადაჭრის და შესაბამისად, არასამთავრობო შეხვედრების მიმართ კვლავ უნდობლობის ფაქტორი მუშაობს. დაპირისპირებული მხარიდან რომელიმე პიროვნების დადებით ასპექტში მოხსენიება, ხშირად პრესის უკურეაქციას იწვევს. იბეჭდება ამ პიროვნების მაკომპრომეტირებელი მასალები; ცალკეული ლიდერების თუ პიროვნებების მიერ

გამოთქმული არაკორექტული, მოსაზრებები ერის პოზიციად ფიქსირდება; ხშირია, სამთავრობო სტრუქტურების მხრიდან სახალხო დიპლომატიის მნიშვნელობის იგნორირების შემთხვევებიც.

მიუხედავად ამისა, ქართულ-აფხაზური არასამთავრობო ორგანიზაციების შეხვედრების ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი – გაარღვიოს პოსტკონფლიქტურ საზოგადოებებს შორის აღმართული კედელი - ეტაპობრივად ხორციელდება. ნდობის აღდგენის მაგალითები დღეს უკვე სახეზეა და პრაქტიკულად გამოიკვეთა რიგ ქართულ-აფხაზურ ერთობლივ კავკასიურ პროექტებში, რომელიც “კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების კვლევის ცენტრის” ხელშეწყობით ხორციელდება.

პროგრამის ქრონიკა

1998 წლის 27-29 ნოემბერს ქალაქ ცხინვალში “კონფლიქტების მოგვარების სწავლების” პროგრამის ფარგლებში ტრენინგ-სემინარი ჩატარდა, რომელშიც ოსეთის არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და ჟურნალისტები მონაწილეობდნენ. ტრენინგი, ტრადიციისამებრ, ცხინვალის ხელოვნების სკოლაში მიმდინარეობდა. მის ორგანიზებაში დაგვეხმარნენ ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭოს ადგილობრივი წარმომადგენელი დინა ალბოროვა და ხელოვნების სკოლის დირექტორი ლავრენტი კასოვეი.

ამგვარი ტრენინგ-სემინარი ცხინვალში ერთი წლის წინაც ჩატარდა. ეს იყო ქართველი სპეციალისტების, კერძოდ, კი “კონფლიქტების მოგვარების სწავლების

პროგრამის” პირველი და წარმატებული მცდელობა პოსტკონფლიქტურ ზონაში ასეთი სახის სამუშაოს ჩატარებისა. ოსური



მხარისათვის, მომავალზე ორიენტირებული ურთიერთობების შეთავაზება სრულიად მოულოდნელი და მისაღები აღმოჩნდა.

წლებანდელ ტრენინგში შარშანდ-

ელი მონაწილენიც შემოგვიერთდნენ. მათ გაგვიზიარეს თავიანთი შთაბეჭდილებები და აღნიშნეს, რომ კონფლიქტების დაძლევის აქ მიღებულმა ცოდნამ და გამოცდილებამ მათ პირად ცხოვრებშიც გარკვეული დადებითი კორექტივები შეიტანა.

ტრენინგი საკმაოდ საინტერესოდ წარიმართა. განხილული საკითხებისადმი მონაწილეების დაინტერესება იმდენად დიდი აღმოჩნდა, რომ ჩვენ პროგრამაში გარკვეული ცვლილებების შეტანა დაგეგმირდა. ჯგუფი შეეცადა უფრო ღრმად ჩასწვდომოდა ისეთ საკითხებსაც კი, რომელთა განხილვა პროგრამით არ იყო გათვალისწინებული. განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია ჯგუფში ერთობლივი გადაწყვეტილების მიღების პროცესმა, რომლის გათამაშებაც, ჩვეულებისამებრ პროგრამის ბოლოს ხდება. იმისათვის, რომ ეს სავარჯიშო წარმატებით შესრულდეს, აუცილებელია ტრენინგის მსვლელობისას მიღებული ცოდნისა და უნარ-ჩვევების გამოყენება, რასაც ჯგუფის წევრებმა მშვენივრად გაართვეს თავი. როგორც შემდგომ თავად აღნიშნეს, ამგვარი შედეგი მათთვისაც მოულოდნელი და სასიამოვნო აღმოჩნდა.

15-18 დეკემბერს, კი, ტრენინგი მცხეთაში ჩატარდა. შარშანდელი შთაბეჭდილებები და მოგონებები ამ ქალაქში კომპაქტურად განსახლებულ, გაჭირვებაში მცხოვრებ და ამავე დროს ძლიერ მონდომებულ, შემოქმედებითად განწყობილ დევნილების შესახებ, წინასწარ მღელვარებას იწვევდა ჩვენში. ტრენინგ-სემინარში მონაწილეობის სურვილი ბევრმა გამოთქვა. შეიძლება ითქვას, რომ გარკვეული შეზღუდვის მიუხედავად, დაწყებითი სკოლის საკლასო ოთახი ხალხს ვერ იტევდა. ამჯერად, მონაწილეები მთლიანად ქალები იყვნენ, სხვადასხვა ასაკის, განათლებისა და ეროვნების (სულ 35 ქალი). მონაწილეთა ნახევარს ოსეთიდან დევნილები შეადგენდნენ, ნახევარს - აფხაზეთიდან.

მნიშვნელოვანია, რომ ეს ადამიანები განსახლებულები არიან ყოფილ ტურბაზაში და როგორც თავიდანვე გამოვლინდა მათ, გარდა სოციალურ-ეკონომიურისა, სამეზობლო პრობლემები და კონფლიქტები აქვთ. აგრეთვე, აღნიშნეს, რომ განსაკუთრებით აწუხებთ აფხაზეთიდან და ოსეთიდან დევნილებს შორის რეალური კონფლიქტების არსებობა და წინასწარ გამოთქვეს იმედი, რომ შესაძლოა ჩვენი ერთობლივი მუშაობა მათ დაეხმარებოდათ ამ კონკრეტული მიმართულებით.

მონაწილეები აქტიურად ჩაერთვნენ ჩვენს ერთობლივ მუშაობაში. დიდი მონდომებით ასრულებდნენ ყველა სავარჯიშოს და



მიწოდებულ თეორიულ მასალას.

ტრენინგის ბოლოს, ტრადიციისამებრ, ჩავატერეთ სავარჯიშო “შერიგება”, რომელსაც უმნიშვნელოვანესი შედეგები მოჰყვა, - შერიგდნენ (ერთმანეთს გადაეხვივნენ და გადააკოცნეს) დიდი ხნის ნაჩხუბარი მეზობლები.

მონაწილეებმა ერთხმად აღნიშნეს, რომ ტრენინგ-სემინარს მათთვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. ერთის მხრივ, ახალი ინფორმაცია და გამოცდილება შეიძინეს, ხოლო, მეორეს მხრივ, განიტვირთნენ, მოეხსნათ სტრესთან დაკავშირებული დაძაბულობა, რაც მათ ბოლო წლებში, გამუდმებით თან სდევდათ.

Ethica, ordine geometrico demonstrata et in quinque partes
distincta, in quibus agitur...

ანუ

საქართველოში მასობრივი ცნობიერების ხუთი აქსიომა (თავის შედეგებითურთ)

აქსიომა 1. ჩვენ უკეთესნი ვართ ყველა სხვაზე, ვინაიდან ეს ჩვენ ვართ.

შედეგი I: ქართული გენი ყველაზე გენიალური გენია.

შედეგი II: რაც ცუდი მოგვდის, შემოტანილია გარედან.

აქსიომა 2. პოლიტიკური დემაგოგია არსებობს ყველა სფეროში, გარდა
ეროვნული საკითხისა.

შედეგი I: ვინც ამბობს, რომ ეროვნული პატრიოტია, ის მართლა
ეროვნული პატრიოტია.

შედეგი II: არ შეიძლება დაიგმოს ან დაისაჯოს ის, ვინც ამბობს,
რომ კარგი უნდა, რა დამანგრეველი შედეგიც არ უნდა მოჰყვეს მის
მოქმედებას.

აქსიომა 3. შეთქმულების თეორია ყოველთვის სწორია.

შედეგი: ვინც განსხვავებულ აზრს იცავს, ის თვითონ მასონია.

აქსიომა 4. სამართალი რელატიურია, ძმობა კი აბსოლუტური.

შედეგი: თუ კანონი ჩვენს ძმას ემუქრება, უნდა (ძმების დონეზე მაინც)

შევეწინააღმდეგოთ კანონს.

აქსიომა 5. სახელმწიფო წარმავალია, პასპორტი კი მარადიული.

შედეგი: გადავრჩებით, პასპორტში მაგიურ ჩანაწერებს თუ გავაკეთებთ.

გიორგი ხუციშვილი

პროგრამაში მუშაობენ:

გიორგი ხუციშვილი - პროფესორი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის დამაარსებელი და დირექტორი, პროგრამის ხელმძღვანელი.

ბაბა ნიჟარაძე - ფსიქოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, ფსიქოლოგიური მონიტორინგის ჯგუფის ხელმძღვანელი

დალი ბერეკაშვილი - ფსიქოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, ფსიქოლოგიური მონიტორინგის ჯგუფის წევრი

რუსუდან მშვილცაძე - ფსიქოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, ფსიქოლოგიური მონიტორინგის ჯგუფის წევრი

თინა ასათიანი - სოციალური ფსიქოლოგი, ფასილიტატორი, ფასილიტატორთა ჯგუფის ხელმძღვანელი.

მამა რაზმაძე - სოციალური ფსიქოლოგი, ფასილიტატორი.

ლია (ნათუნა) სანიძე - სოციალური ფსიქოლოგი, ფასილიტატორი

მანანა ღარჯანია - სარედაქციო ჯგუფის ხელმძღვანელი, ჟურნალისტი

დეა ღალაძე - რედაქტორი, ფილოლოგი

არჩილ ხიფაშვილი - კომპიუტერული უზრუნველყოფა